ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge



საზარელი მკვლელობა ხობში გვ.7

„ფარცვანია და ბუკია მეგობრები იყვნენ, ერთმანეთს ეუბნებოდნენ, მეჯვარეები ვიყოთო, ალბათ იარაღი გაუვარდა“

29 მაისიდან

ანდრეა კამილერი

წყლის ფორმა

სერია ნამდვილი დეტექტივი

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი




ხუთშაბათი, 31 მაისი, 2018 №127 (7672) ფასი: 50 თეთრი

# პროდასავლურ ოპოზიციას ჯამში „ოცნებაზე“ მეტი რეიტინგი აქვს




„ოცნებაზე“ განაწყენებული ამომრჩეველი ნაციონალებს ხმას არ მისცემს“ გვ.3



## რუსი ჟურნალისტი არკადი ბაბჩენკო მკვდრეთით აღდგა!

გვ.8



„ეს იყო მკვლელობის ინსცენირება რუსული სპეცსამსახურების გამოსავლენად“





## შოთა ხაბარელი: „დავით ქევხიშვილი გადამდგარი უნდა იყოს, მაგრამ არსებობს ადამიანი, რომელიც მას აჩერებს“

გვ.3

### სამართალი

გვ.4

პაატა ზაქარეიშვილი: „სირიის მიერ ცხინვალის და სოხუმის აღიარება მოსალოდნელი იყო“



ზუგდიდში ბავშვის მძევლად აყვანისთვის დაკავებული ემა ქვირტია გამოუშვეს გვ.7



ანა ნაცვლიშვილი ხორავას ქუჩაზე მკვლელობის საქმეზე: „კითხვები უფრო გამრავლდა“

მოსამართლე ეკა არეშიძე განაჩენს დღეს გამოაცხადებს გვ.7

### ეკონომიკა

გვ.6




„ევროკავშირის შენგენის ზონაში უვიზო რეჟიმის გაუქმების საფუძველი ნამდვილად არ არსებობს“



საქართველოში დაბრუნებულ 339 მიგრანტს მცირე ბიზნესის დასაწყებად გრანტი გადაეცა



გვ.5

სახელმწიფო აზიური ფაროსანას შესაწამლ პრეპარატებს უფასოდ აღარ დაარიგებს

ISSN 1987-9385

9 771987 938006

4 რუსეთს გაუჭირდება მუქარის შესრულება საქართველოს მიმართ

6 საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობა არ გაძვირდება

2 67% — ქვეყანა არასწორი მიმართულებით ვითარდება

6 „აირზენა“ თბილისი-კიოლნის მიმართულებით ფრენებს წყვეტს

# რატომ დაეცა იუსტიციის სახლისა და პოლიციის რეიტინგი

## გიგი უგულავა: „ქართულმა ოცნებამ“ ყველაზე ცუდი რამ გაუკეთა ამ სახელმწიფოს, დაიწყო ინსტიტუტების მიმართ ნდობის ეროზია“



ევროპული საქართველოს წევრმა გიგი უგულავამ „TVპირველის“ ეთერში IRI-ის კვლევის შედეგები შეაფასა. მისი თქმით, ქვეყანაში დაიწყო ინსტიტუტების ეროზია და „ქართული ოცნების“ რეიტინგებიც აქედან გამომდინარეობს.

– „ქართულმა ოცნებამ“ ყველაზე ცუდი რამ გაუკეთა ამ სახელმწიფოს, ეროზია დაიწყო ინსტიტუტების მიმართ ნდობის. იმიტომ, რომ თეა წულუკიანია უვარგისი, იუსტიციის სახლის მიმართ დაიწყო. იმისთვის, რომ გახარია რაღაც ამბივალენტური გაუგებრობაა, პოლიციის რეიტინგი ჩამოვარდა. იმიტომ არის გაუგებრობა, რომ ან უნდა ებრძოლო კრიმინალს, ან უნდა იოცნებო უფრო მაღალ თანამდებობაზე და ერთდროულად ეს ყველაფერი არ გამოდის. აქ პრობლემა რაში მდგომარეობს, ინსტიტუტები, რომლის მიმართ ჩვენს მოსახლეობას ჰქონდა ნდობა, პოლიციის 88% იყო ადრე და ყველა ინსტიტუტის მიმართ იმიტომ, რომ ეს ინსტიტუტები მოსწონდა. იმიტომ, რომ სახელმწიფოებრივად აზროვნებს ძირითადი უმრავლესობა და „ქართული ოცნების“ მთავარი პრობლემა სწორედ ეს არის. მოსახლეობა თავისი არსით არის კანონმორჩილი, მაგრამ ყოველთვის იქნება გამონაკლისები. რატომ არის დავარდნილი „ქართული ოცნების“ რეიტინგი, იმიტომ, რომ დავარდა კეთილგანწყობა და სანდოობის რეიტინგი ინსტიტუტების მიმართ და ჩაიყოლა ესენი. ოღონდ, რატომ, იმიტომ, რომ „ქართული ოცნების“ ხელისუფლება და მინისტრები არის უვარგისი, – განაცხადა გიგი უგულავამ.





# მარიხუანის მოხმარებისთვის ჯარიმა გაუქმდება?

– საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ექიმის დანიშნულების გარეშე მარიხუანას მოხმარებისთვის ადმინისტრაციული ჯარიმის გაუქმების შემთხვევაში, რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი იქნება გასაანალიზებელი, – ამის შესახებ პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ, ეკა ბესელიამ, განაცხადა.



მისი განმარტებით, მათ შორის განსახილველი იქნება, თუ რა რეგულაციები უნდა იყოს ასეთ შემთხვევაში იმ პირთა მიმართ, რომლებიც მოიხმარენ მარიხუანას და საჯარო სექტორში, საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სამხედრო და სამართალდამცველ სტრუქტურებში არიან დასაქმებული.

– რა რეგულაციებს ვაყენებთ, ვინც ამბობს, რომ არ უნდა არსებობდეს არანაირი პასუხისმგებლობა, არც ადმინისტრაციული, ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარებისთვის, რა დათქმები უნდა არსებობდეს მაშინ ისეთი პირების მიმართ, როგორიც არის პოლიციელი, სამხედრო მოსამსახურე, პედაგოგი. ხომ უნდა ვიფიქროთ ამაზეც, რა ხდება ასეთ შემთხვევებში. ამაზე თვალს ვხუჭავთ თუ ვამბობთ, რომ გარკვეული რეაგირება და რეგულაციები საჭირო იქნება. ვფიქრობ, ეს არის ძალიან სერიოზული საკითხი და ძალიან სერიოზულად იქნება გასაანალიზებელი, – განაცხადა ეკა ბესელიამ.

# ჯაფარიძე: „მარიხუანას ვეწევი 17 წლიდან, 3 უმაღლესი მაქვს დასრულებული... პარლამენტის წევრი ვიყავი, პრეზიდენტობის კანდიდატი ვარ“

– მარიხუანას ვეწევი 17 წლიდან და მას ყოველ საღამოს მოვიხმარდი. 3 უმაღლესი მაქვს დასრულებული, ვმუშაობდი საერთაშორისო ორგანიზაციებში და ერთი თვე წყვეტა არ მქონია, ლექციებს ვკითხულობდი, პარლამენტის წევრი ვიყავი და ახლა პრეზიდენტობის კანდიდატი ვარ. პრობლემა იყო ჩემი მშობლებისთვის იმის ახსნა, რომ მათ ასეთი შვილი ჰყავთ, – ეს განცხადება „გირჩის“ ლიდერმა ზურაბ ჯაფარიძემ საკონსტიტუციო სასამართლოში მიმდინარე სხდომაზე გააკეთა.




სასამართლო სხდომაზე მოსამართლე ევა გოცირიძე დაინტერესდა, იზიარებენ თუ არა მოსარჩელეები იმას, რომ მარიხუანას მოწევა არის ანტისოციალური მოვლენა და აზიანებს ოჯახის ინტერესებს. გოცირიძეს „გირჩის“ კიდევ ერთმა წარმომადგენელმა იაგო ხვიჩიამ უპასუხა:

– თუ რამე არის ჩემში ანტისოციალური, ეს არაა დაკავშირებული მარიხუანას მოწევასთან. ჩემთვის ინტერესია ადამიანი და ეს არის თავისუფლების საკითხი. ჩვენ ეს საკითხი არ უნდა განვიხილოთ კოლექტიური მორალის ჭრილში. – განაცხადა ხვიჩიამ.

# 67% — ქვეყანა არასწორი მიმართულებით ვითარდება

„საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის“ კვლევის მიხედვით, კითხვაზე – რა მიმართულებით მიდის ქვეყანა, გამოკითხულთა 67% მიიჩნევს, რომ ქვეყანა არასწორი მიმართულებით მიდის. 22%-ის აზრით, ქვეყანა სწორი მიმართულებით ვითარდება. პასუხი ამ კითხვაზე არ აქვს გამოკითხულთა 11%-ს.

„საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის“ მიერ მოსახლეობა 10-დან 22 აპრილამდე მთელი ქვეყნის მასშტაბით გამოიკითხა.

# სირიის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე: „საქართველო ანტისირიულ შეთქმულებაშია ჩართული“



საქართველო ანტისირიულ შეთქმულებაშია ჩართული, – აცხადებს სირიის პარლამენტის არაბულ და უცხო ქვეყნებთან ურთიერთობების კომიტეტის ხელმძღვანელი ბუტრუს მარჟანი „სპუტნიკთან“ ინტერვიუში.

– სირიას არასდროს გაუწყვეტია დიპლომატიური ურთიერთობები რომელიმე ქვეყანასთან, თუმცა საქართველომ აღნიშნული ნაბიჯი ანტისირიულ შეთქმულებაში ჩართულობის გამო გადადგა, – განაცხადა მარჟანმა.

– ახალი მსოფლიოს მშენებლობა ურთიერთპატივისცემაზე და სხვა ხალხების უფლებების დაცვაზე უნდა ეფუძნებოდეს. ურთიერთობები ურთიერთსასარგებლო უნდა იყოს, – განაცხადა სირიის პარლამენტის წევრმა.

# 27% — „ქართულ ოცნებას“ , 17% — „ნაციონალურ მოძრაობას“

## IRI-ის კვლევები პოლიტიკურ პარტიებზე

IRI-ის კვლევების მიხედვით, კითხვაზე, თუ რომელ პოლიტიკურ პარტიას მისცემდით ხმას, შემდეგ კვირას რომ საპარლამენტო არჩევნები ტარდებოდეს, გამოკითხულთა 27% „ქართულ ოცნებას“ ასახელებს, 17% – „ნაციონალურ მოძრაობას“, 7% – „ევროპულ საქართველოს“, 5% – „ლეიბორისტულ პარტიას,“ 4% – „პატრიოტთა ალიანსს.“ დემოკრატიული მოძრაობა – 3%, ახალი საქართველო – 2 %, თავისუფალი საქართველო – 1, არც ერთს – 19%, არ ვიცი – 14%.

შეგახსენებთ, რომ „საერთაშორისო რესპუბლიკურმა ინსტიტუტმა“ საქართველოს პოლიტიკური რეიტინგები გამოაქვეყნა. მოსახლეობა 10-დან 22 აპრილამდე მთელი ქვეყნის მასშტაბით გამოიკითხა.

# „IRI-ს რომ დავუჯეროთ, სააკაშვილის პირად ნოტარიუსად ქცეულ ბაქრაძეს უფრო დიდი რეიტინგი აქვს, ვიდრე კობახიძეს, კალაძეს ან კვირიკაშვილს“

– IRI-ს რომ დავუჯეროთ, სააკაშვილის პირად ნოტარიუსად ქცეულ ბაქრაძეს უფრო დიდი რეიტინგი აქვს, ვიდრე კობახიძეს, კალაძეს ან კვირიკაშვილს – ეს განცხადება, საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა, ანრი ოხანაშვილმა გააკეთა.

ოხანაშვილის განცხადებით, მმართველი გუნდი საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის მიერ ჩატარებულ საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგებს არ ენდობა.

კვლევის თანახმად, პოლიტიკოსების რეიტინგში დავით ბაქრაძე, გიორგი მარგველაშვილი, კახა კალაძე, დავით სერგეენკო და გიორგი კვირიკაშვილი ლიდერობენ.

– ასეთი „კვლევების“ პარადოქსულობასა და არასერიოზულობაზე, პირველ რიგში, მეტყველებენ საზოგადოებაში არსებული განწყობები და საარჩევნო შედეგები. მათი მონაცემები რომ დავიჯეროთ, თურმე მიშა სააკაშვილის პირად ნოტარიუსად ქცეულ პარლამენტის ყოფილ თავმჯდომარეს, დავით ბაქრაძეს, უფრო დიდი რეიტინგი აქვს, ვიდრე ირაკლი კობახიძეს, კახა კალაძეს ან გიორგი კვირიკაშვილს. თურმე, „ქართული ოცნების“ რეიტინგი მხოლოდ ერთნახევარჯერ აღემატება სააკაშვილის „ნაციონალური მოძრაობის“ რეიტინგს. ამ მონაცემებს, საზოგადოება განსჯის, მაგრამ ყველაზე ცუდია ის, რომ ასეთი კვლევები, თავად მისი ჩამტარებელი, ავტორიტეტული ორგანიზაციის რეიტინგს აზიანებს და ეს ნამდვილად არ შედის არავის, მათ შორის, არც ჩვენი და არც ჩვენი ქვეყნის ინტერესებში, – განაცხადა ანრი ოხანაშვილმა.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ოცნებაზე“ განაწყენებული ამომრჩეველი ნაციონალებს ხმას არ მისცემს“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „აირაის“ სოციოლოგიური კვლევის შედეგებზე საუბრობს.

***– ბატონო რამაზ, „აირაის“ მიერ ჩატრებული სოციოლოგიური კვლევის შედეგები ასე გადანაწილდა: „ქართული ოცნება“ 27%, ნაციონალური მოძრაობა 17% „ევროპული საქართველო“ 7%. რა სურათს გვაძლევს ეს მონაცემები, ელოდით?***

– თუ „აირაი“ ჩაატარებდა ამ კვლევებს, მაშინ ეს შედეგები მოსალოდნელი იყო. „აირაიც“ და „ენდიაიც“ ბევრ კეთილ საქმეს აკეთებენ, მაგრამ სოციოლოგია ხშირად გამოყენებულია გავლენის ინსტრუმენტად. რამდენიმე თვის წინ „ენდიაის“ კვლევებში ნაციონალურ მოძრაობას 8% ჰქონდა, ახლა 17% აქვს. ამ მონაცემებში ასევე საინტერესოა ლეიბორისტების რეიტინგი, თუ ლეიბორისტები აქამდე 5%-იანი ბარიერის მიღმა იყვნენ, ახლა ისინი 5%-ით არიან წარმოდგენილი. ეს მონაცემები გარკვეულ განწყობას უკვე ქმნის.

***– რომან გოცირიძე ამბობს, „ქართული ოცნების“ მზის ჩასვენება დაიწყო, ჩვენ კი, პროცენტები კი არ გვაკლდება, გვემატებაო.***

– თუ ნაციონალური მოძრაობის ხათრით ემატება, მაშინ გასაგებია. თუმცა, მზის ჩასვენება სად ნახა აქ ბატონმა რომანმა, გაუგებარია. 10% განსხვავებაა ნაციონალებსა და „ოცნებას“ შორის და როგორ დაიწყო მზის ჩასვენება?!

***– ამ მონაცემებით, თუ ოპოზიციური სამი პარტია გაერთიანდება, მაშინ მათი რეიტინგების ჯამი სახელისუფლო პარტიის რეიტინგს გადაასწრებს. ეს შეიძლება გახდეს საპრეზიდენტო არჩევნების წინ გაერთიანების მოტივაცია?***

– არ არის გამორიცხული, რომ გახდეს. მე სულაც არ გამოვრიცხავ, რომ სწორედ ამ იდეის გასამყარებლად არის ამ კვლევის შედეგები დადებული. მე ხშირად ვამბობდი და თქვენთანაც მითქვამს ინტერვიუში, რომ ოპოზიციის გაერთიანებით არაფერი არ იცვლებოდა, მაგრამ ამ მონაცემებმა სრულიად საწინააღმდეგო სურათი დადო. ამიტომ მე არ გამოვრიცხავ, რომ ეს იყოს ერთგვარი ინსპირატორი.

***– ოპოზიციისთვის?***

– ოპოზიციისთვისაც და სხვებისთვისაც. ესეც ხომ მნიშვნელოვანია, როდის იდება ეს მონაცემები, როდესაც საპრეზიდენტო კანდიდატები არ ჰყავს დასახელებული არც ხელისუფლებას და არც ოპოზიციას. აქ კარგად ჯდება სააკაშვილის იდეაც, რომ მოხდეს ერთიან კანდიდატზე შეთანხმება.

***– თქვენ ამ მონაცემების და სააკაშვილის რიტორიკის თანხვედრაზე მიანიშნებთ?***

– ლოგიკურად ასეა, აბა რითი შეიძლება აიხსნას ის, რომ აქამდე პარტიას ერთი თუ ორი პროცენტი ჰქონდა და ახლა ბარიერს ლახავს?! მიშას იდეა იყო გაერთიანება, რომელსაც არგუმენტაციით სჭირდებოდა გამყარება. ოპოზიცია, ამ შემთხვევაში, ეს სამი პარტია რომ გაერთიანდეს, ხელისუფლებას აჯობებს თუ არა, ეს კიდევ მეორე საკითხია, რადგან არჩევნები კიდევ სხვა მექანიზმებს გულისხმობს, მათი რიტორიკა სრულიად არადამაჯერებელია. რამდენად იქნება, მაგალითად, „ევროპული საქართველოს“ ამომრჩევლისთვის ლეიბორისტებთან ერთად არჩევნებზე გასვლა მისაღები? ამ ერთობით ამომრჩეველი მოემატებათ თუ, პირიქით, დააკლდებათ?!

აქ ბევრი კითხვის ნიშანია და ასე მარტივად არ არის საქმე. ან კიდევ, მაგალითად, შალვა ნათელაშვილს უკვე აქვს ნათქვამი, რომ ის კენჭს იყრის საპრეზიდენტო არჩევნებში, ახლა რას ეტყვის თავის ამომრჩეველს, რომ უკან მიაქვს თავისი სიტყვები და ნაციონალებთან ერთად აპირებს გაერთიანებას?!

***– თუმცა, 2012 წელს სრულიად ამორფული ოპოზიციური პარტიები გაერთიანდნენ და ნაციონალები დაამარცხეს.***

– დიახ, გაერთიანდნენ, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ ალასანიასა და რესპუბლიკელებს ან ფორუმს ერთმანეთის წინააღმდეგ არათუ რაიმე სახის კამპანია უწარმოებიათ, ერთად იდგნენ, გვერდიგვერდ იბრძოდნენ მაშინდელი ხელისუფლების წინააღმდეგ. ის ერთობა სრულიად სხვა იყო. მათ პოზიციებში ასეთი რადიკალური განსხვავებები არ იყო.

დღეს ან საერთოდ ოდესმე რა საერთო უნდა ჰქონდეთ ლეიბორისტებს და „ევროპულ საქართველოს“?! ეს ხომ იქნება ნაძალადევი, ხელოვნური ერთობა?! მეტსაც გეტყვით, დღეს უკვე ისე დაშორდნენ ერთმანეთს თვით ნაციონალური მოძრაობა და იქიდან გამოყოფილი ჯგუფი, რომ მათი ერთობაც რთულად წარმოსადგენია.

ერთი, რაც შემიძლია დანამდვილებით გითხრათ, არის ის, რომ „ქართული ოცნების“ მიმართ უკმაყოფილოთა, განაწყენებულთა რიცხვი არ ემატება ნაციონალურ მოძრაობას. მათ ვერ გაიგეს, რომ ეს სულაც არ ნიშნავს ნაციონალურ ოცნებას.

***– აკლდება მმართველ პარტიას, მაგრამ არ ემატება არც ერთ ოპოზიციურ პარტიას?***

– დიახ, სწორად აღნიშნეთ. ეს არის ის მონაცემი, რომელიც ნიჰილისტურად განწყობილთა, „არც ერთ პარტიას“ გრაფაში რომ გვხვდება.

***– საინტერესოა პოლიტიკოსთა პერსონალური რეიტინგები, მაგალითად, მოქმედ პრეზიდენტსა და პრემიერს ორივეს უსწრებს დავით ბაქრაძე, მას 53% აქვს. შემდეგ მოდის 52%-ით პრეზიდენტი მარგველაშვილი, შემდეგ 50%-ით კახა კალაძე და დავით სერგეენკოს შემდეგ 41%-ით პრემიერი კვირიკაშვილი. რა კომენტარს გააკეთებთ?***

– საინტერესოდ არის სურათი დალაგებული. პირველი, ალბათ გიკვირთ, რატომ უსწრებს დავით სერგეენკო, მაგალითად, პრემიერ კვირიკაშვილს? მე არ მიკვირს, რადგან სერგეენკოს ყოველთვის მაღალი რეიტინგი აქვს, რაც მისი საქმიანობიდან გამომდინარეობს. წარმოიდგინეთ, წინა მთავრობის დროს ადამიანს ერთი ოპერაცია სახლ-კარის გაყიდვად უჯდებოდა, ახლა კი ასეთ განზოგადებას ვერ ახდენს, რომ ეს მთლიანად ხელისუფლების გადაწყვეტილებაა და პერსონალურად ამ სიკეთეს სერგეენკოს მიაწერს. ცხადია, აქ პიროვნული ფაქტორიც მუშაობს, სერგეენკოს არაფერი დაუშავებია.

კალაძის 50% მოსალოდნელია, რადგან არჩევნები სულ ახლახან ჩატარდა და მას ეს ნდობა ჯერ კიდევ მოჰყვება. ღმერთმა ნუ ქნას, რომ მან ამომრჩეველს იმედები გაუწბილოს, მაშინ ჩვენ სრულიად განსხვავებულ სურათს ვნახავთ.



***– დავით ბაქრაძე თითქმის ყველა კვლევაში ლიდერი თუ არა, სამეულში მაინც არის. როგორ ფიქრობთ, რატომ?***

– ზომიერია. გაწონასწორებული პოლიტიკოსია, არავის ლანძღავს, არავის შეურაცხყოფას არ აყენებს. ადამიანებს ეს მოსწონთ.

თუმცა, ერთია სოციოლოგია, რომელიც ხშირ შემთხვევაში ამორფულია, ხშირ შემთხვევაში გაუგებარი, მით უფრო, თუ ის გარკვეული ინტერესების მინარევებით არის გაკეთებული და მეორეა საარჩევნო ურნა.

ამის კარგი მაგალითი იყო თუნდაც 2012 წლის სოციოლოგიური მონაცემები და შემდეგ უკვე არჩევნების შედეგები, რომლებიც რადიკალურად განსხვავდებოდა ერთმანეთისგან.

# შოთა ხაბარელი: „დავით ქევხიშვილი გადამდგარი უნდა იყოს, მაგრამ არსებობს ადამიანი, რომელიც მას აჩერებს“

პარლამენტის სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე შოთა ხაბარელი აცხადებს, რომ ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტმა დავით ქევხიშვილმა თანამდებობა უნდა დატოვოს, რადგან მისი თქმით, ქევხიშვილმა, განაცხადა რომ დარღვევის შემთხვევაში თანამდებობას დატოვებდა. ამასთან, ხაბარელი ქევხიშვილის მხარდამჭერებს ურჩევს, მის „დაცვას თავი დაანებონ“.

ხაბარელი არ აკონკრეტებს, ვის გულისხმობს ქევხიშვილის დამცველში. კითხვაზე, დგას თუ არა ქევხიშვილის უკან სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ხელმძღვანელი ანზორ ჩუბინიძე, პასუხობს, რომ „ყველამ გონიერება უნდა გამოიჩინოს“.

– სახელს და გვარს არ დავასახელებ, მაგრამ ყველამ გონიერება უნდა გამოიჩინოს. ის ადამიანი, ვინც იცავს, არასწორს აკეთებს. მოვუწოდებ, რომ არასწორ დაცვას თავი დაანებოს. რაც შეეხება დასკვნას, სპორტის მინისტრს არც იმის თქმის უფლება აქვს, ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტი უნდა გადადგესო და არც იმის, რომ არ უნდა გადადგეს. მინისტრმა თქვა, რომ საკითხი შეისწავლა, მეხუთე პუნქტის დარღვევები გამოვლინდა, როცა მან მწვრთნელები თანამდებობიდან გადააყენა. კომისიამ აღნიშნა, რომ ეს დარღვევა იყო. ფინანსური მანიპულაცია მოხდა, მწვრთნელებს „ატკატი“ უკან მიჰქონდათ, თავად კი ამბობს, შეთანხმება იყოო. არანაირი შეთანხმება და ხელშეკრულება არ ყოფილა დადებული. კომისიამ აღნიშნა, რომ ესეც დარღვევაა. ფაქტობრივად, ეს იმის აღიარებაა, რაც ქევხიშვილმა თქვა. მან აღნიშნა, რომ თუ კომისია ერთ დარღვევას აღმოაჩენდა, თანამდებობას დატოვებდა. მინისტრმა ცალსახად თქვა, რომ დარღვევა იყო.



ანუ, უნდა გადადგეს. სიტყვას ფასი აქვს, მითუმეტეს, კაცებში, მოჭიდავეებსა და სპორტში. ვხედავთ, როგორ ჯიუტდება და არაადეკვატურ განცხადებებს აკეთებს, – განაცხადა ხაბარელმა.

მან უცხოელი მწვრთნელის მოწვევის თემაზეც ისაუბრა.

– ამ პროცესში უცხოელი მწვრთნელის ჩამოყვანა ადექვატური რეაქციაა? ვისი მწვრთნელი უნდა იყოს? სირცხვილი არ იქნება, რომ დარბაზში შევა და სპორტსმენები არ დახვდებიან? საქართველოში რომ მწვრთნელები გვყავს, მათზე უკეთესი სად არსებობს? ჩვენი მწვრთნელები ევროპაში აღიარებულები არიან. ევროპის საუკეთესო მწვრთნელი უზნაძე გაუშვა და სადაც წავიდა, იქ საქართველოს აჯობა. არასოდეს არ მომხდარა, რომ თურქეთს საქართველოსთვის ევროპის ჩემპიონატზე ეჯობნა, – აღნიშნა ხაბარელმა.

ამასთან, შოთა ხაბარელი ასევე ადასტურებს, რომ მას ძიუდოს ფედერაციაში მიმდინარე პროცესებზე უმრავლესობის წევრ თამაზ ნავერიანთან დაპირისპირება მოუვიდა.

– ნავერიანი გამოვიდა და იცავდა, რომ დარღვევა არ იყო. ფაქტობრივად, კომისიისა და მინისტრის წინააღმდეგ გამოვიდა და ჩვენი დაპირისპირება ამან განაპირობა. ქევხიშვილს პირდაპირ იცავდა. მინისტრმა თქვა, რომ დარღვევა იყო და ნავერიანი ყველაფერს ცდილობდა, რომ ეს ოქმში არ დაფიქსირებულიყო. იცის, ეს ქევხიშვილისთვის რას ნიშნავს, რადგან მან თქვა, თუ დარღვევა იქნება, გადავდგებიო. ეს ყველაფერი ამას მოჰყვა. ქევხიშვილი დღესვე გადამდგარი უნდა იყოს. ადამიანი არსებობს, რომელიც მას აჩერებს, – განაცხადა ხაბარელმა.



# მარგველაშვილი: „რუსეთის მოკავშირე ასადის რეჟიმია, რომელიც ბავშვების ქიმიური იარაღით მკვლელობითაა ცნობილი“

რუსეთის მიერ ოკუპირებული საქართველოს რეგიონების სირიის მხრიდან დამოუკიდებელ რესპუბლიკებად აღიარებას საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი ტვიტერზე ეხმაურება. გიორგი მარგველაშვილის თქმით, ის თუ რომელი ქვეყნები არიან ერთმანეთის მოკავშირეები, კარგად წარმოაჩენს მათ სახეს.



– შენი მოკავშირეები წარმოგაჩენენ, ვინ ხარ შენ. დღეს რუსეთის ფედერაციის მოკავშირე არის ასადის რეჟიმი, რომელიც ბავშვების ქიმიური იარაღით მკვლელობით არის ცნობილი, – ნათქვამია პრეზიდენტის მიერ გავრცელებულ შეტყობინებაში.

# არჩილ თალაკვაძე: „რეჟიმმა აღიარა რეჟიმი და ორივე რეჟიმი გახარებულია“

– რეჟიმმა აღიარა რეჟიმი და ორივე რეჟიმი გახარებულია. ბაშარ ალ ასადის ამ გადაწყვეტილებას სირიელი ხალხის ლეგიტიმაცია და მხარდაჭერა არ აქვს და ვერც ექნება, – ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა არჩილ თალაკვაძემ განაცხადა, რომელმაც კომენტარი გააკეთა სირიის მიერ აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ „დამოუკიდებლობის აღიარების“ შესახებ.

– ბაშარ ალ ასადის ამ გადაწყვეტილებას სირიელი ხალხის ლეგიტიმაცია და მხარდაჭერა არ აქვს და ვერც ექნება, რადგან ასადს სირიელი კაცების, ქალების და ბავშვების ხმა დიდი ხანია აღარ ესმის. ასევე, აფხაზეთის დე ფაქტო რეჟიმს არ ესმის აფხაზეთში მცხოვრები საზოგადოების, რომელსაც აღიარების ილუზია და იარაღის ჟღარუნი კი არა, ეკონომიკური განვითარება, სოციალური პროგრამები, ახალი ინფრასტრუქტურა და განვითარებულ სამყაროსთან მუდმივი კავშირი სჭირდება. საერთაშორისო საზოგადოებას მკაფიო პოზიცია აქვს ასადის რეჟიმთან დაკავშირებით, ამიტომ ეს გადაწყვეტილება არანაირ საფრთხეს არ წარმოშობს საერთაშორისო არაღიარების პროცესისთვის. ჩვენს გულებში, ჩვენი აფხაზი და ოსი ძმების გულებში ერთი სიმართლეა და ეს სიმართლე აუცილებლად გაიმარჯვებს, – განაცხადა არჩილ თალაკვაძემ.



# პაატა ზაქარეიშვილი: „სირიის მიერ ცხინვალის და სოხუმის აღიარება მოსალოდნელი იყო“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს შერიგების საკითხებში ყოფილი სახელმწიფო მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი პასუხობს.



***– ბატონო პაატა, ორი დღეა ჩვენს საზოგადოებაში აქტიურად განიხილება სირიის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარების ფაქტი. სხვადასხვაგვარი შეფასებები მოვისმინეთ. ითქვა, რომ სირია რუსეთმა აიძულა ასე მოქცეულიყო. რას იტყვით თქვენ?***

– ეს მოსალოდნელი იყო. სულ მცირე, ბოლო ერთი წელია, ინტენსიური კონტაქტები იყო აფხაზურ, რუსულ და სირიულ მხარეებს შორის. რუსეთის მეშვეობით ხშირად ხვდებოდნენ მოსკოვში. სირიის საპარლამენტო დელეგაცია სოხუმშიც კი ჩავიდა და შემდეგ სოხუმიდან სირიაში. იმ პერიოდში ქართულმა პრესამაც მიაქცია ამას ყურადღება და ექსპერტები თანხმდებოდნენ, რომ თუ ვინმე მზად იყო, ეღიარებინა აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა, ეს ალბათ სირია იქნებოდა.

***– ეს პროგნოზები გამართლდა. აქ მოულოდნელი არაფერი ყოფილა?***

– სამწუხაროდ, გამართლდა. არც მოულოდნელი იყო. თუ იმის დაშვება შეიძლებოდა, რომ რომელიმე სახელმწიფო აღიარებდა მათ დამოუკიდებლობას, ყველა ექსპერტი ამბობდა, რომ ეს იქნებოდა სირია. სირიის მხრიდან ეს არის რუსეთისთვის გადადგმული ნაბიჯი.

***– რატომ? ამით კოჭი გაუგორა სირიამ რუსეთს?***

– იმიტომ, რომ რუსეთმა გადაარჩინა სირია. სირია დღეს ჯერ კიდევ თუ არის პოლიტიკურ რუკაზე, ეს მხოლოდ რუსეთის დამსახურებაა. ასევე ირანის. რუსეთმა და ირანმა გამოიდეს თავი, რათა სირიის რეჟიმი იმ სახით, როგორც დღეს არის, შენარჩუნებულიყო. რუსეთმა გამოიყენა სიტუაცია და, ჩემი აზრით, სირია ჩააგდო ძალიან უხერხულ მდგომარეობაში.

***– ანუ იძულების წესით აღიარა?***

– ასეა. სირიას ეს ნაბიჯი არაფერში არ სჭირდებოდა, არაფერს აძლევს აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის აღიარება. მას არანაირი ინტერესი არ აქვს ამ ტერიტორიების მიმართ. აშკარაა, რომ ეს არის მხოლოდ გარედან ზეწოლის შედეგად გადადგმული ნაბიჯი. ასევე ეს არის მადლიერების გრძნობის და ვალდებულების გამოხატვა, რათა რუსეთს ანგარიში გაუწიოს.

***– რატომ არ გააკეთა გაცილებით ადრე, რატომ მაინცდამაინც დღეს?***

– იმიტომ, რომ რუსეთმა დაუმტკიცა ერთგულება სირიას და ნამდვილად მან გადაარჩინა. დღეს უკვე მსოფლიოში არავინ აღარ ლაპარაკობს ასადის რეჟიმის დამხობასა და მის შეცვლაზე. ყველა ამბობს მხოლოდ იმას, რომ ასადის რეჟიმი არის ძალიან ცუდი, მაგრამ მან არ უნდა გამოიყენოს ქიმიური იარაღი. ერთადერთი პირობა, დღეს რასაც უყენებენ, არის ქიმიური იარაღის არგამოყენება და არა ის, ასადი უნდა იყოს თუ არ უნდა იყოს.



***– უნდა იყოს?***

– უკვე ყველა თანხმდება, რომ უნდა იყოს! ყველა ხვდება, რომ რუსეთისთვის ამას პრინციპული მნიშვნელობა აქვს. რუსეთი თავის ჯარისკაცებსაც კი უშვებს იქ დასაღუპად, იმდენად მნიშვნელოვანია მისთვის. ამერიკას საერთოდ გამოყვანა უნდა თავისი ჯარისკაცების, რომლებიც სირიის ტერიტორიაზე არიან. სირიის ტერიტორია, მისი სახელმწიფოებრიობა დღეს ძალიან მოწყვლადია, ეჭვქვეშ არის. ამ ფონზე მათი მხრიდან საერთაშორისო სამართლის დარღვევა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფა პირველ რიგში მას მიაყენებს ზარალს.

***– ჩვენ არ ვზარალდებით?***

– საქართველომ ეს ზარალი უკვე მიიღო, როდესაც რუსეთმა აღიარა აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობები. აქ ახალი არაფერი ყოფილა ჩვენთვის. ახალი არის მხოლოდ ის, რომ სირიამ დაარღვია საერთაშორისო სამართლის ნორმები და პირველ რიგში თავი ჩააყენა დარტყმის ქვეშ. სხვა სახელმწიფოები, რომლებსაც ინტერესი აქვთ სირიის მიმართ, იგივე ქურთები, მაგალითად, ისინი ხომ ეტყვიან, შენ თუ სხვის ტერიტორიულ მთლიანობას არღვევ, მე რატომ არ უნდა დავარღვიო შენი ტერიტორიული მთლიანობა?!

***– ამით რისი თქმა გსურთ? ეს პრობლემებს შეუქმნის სირიას?***

– ამით იმის თქმა მინდა, რომ სირიისთვის ეს არ უნდა ყოფილიყო საუკეთესო და სიხარულით მიღებული გადაწყვეტილება. ამაში დარწმუნებული ვარ. მან უბრალოდ უარი ვერ უთხრა რუსეთს. როდესაც მეკითხებით, რატომ დღეს, თქვენი კითხვა სამართლიანია, დღეს იმიტომ, რომ ამოიწურა ყველა მოლოდინი რუსეთის მხრიდან. სირიას ეს უფრო ადრე უნდა გაეკეთებინა, მაგრამ აშკარად ფეხს ითრევდა. თუმცა რუსეთმა ყველაფერი გააკეთა ასადის გასაძლიერებლად და მასაც აღარაფერი დარჩენოდა, გარდა იმისა, რომ თავისი ვალდებულება შეესრულებინა. ამიტომ ეს იყო უკიდურესი და ბოლო გადაწყვეტილება.

***– რა უნდა გაკეთდეს ქართული მხარის მხრიდან?***

– სირია პირველი ისლამური სახელმწიფოა, რომელმაც აღიარა ამ ტერიტორიების დამოუკიდებლობა. ამიტომ ქართული დიპლომატია უნდა ჩაირთოს ისლამური და არაბული სამყაროს მიმართულებით. ჩვენ ორივე ამ მიმართულებით გვყავს მეგობრები. არაბები და თურქები. მათ შეუძლიათ მობილიზაცია მოახდინონ ისლამურ სამყაროში, ჩაატარონ სამუშაოები, რათა დაგმობილ იქნას ეს გადაწყვეტილება. არაბულ სამყაროშიც ბევრი მეგობარი გვყავს, მათი ინვესტიციები ჩადებულია საქართველოში, მათ საქართველოს მიმართ ინტერესები გააჩნიათ. არაბულმა სამყარომაც თავისი პოზიცია უნდა გამოხატოს მკაფიოდ და დაგმოს ეს ნაბიჯი. ჩვენი დიპლომატიის მხრიდან ამ მიმართულებით აქტიური მუშაობაა საჭირო. ამას შეიძლება ორი შედეგი მოჰყვეს.

***– რა შედეგებზე შეიძლება საუბარი?***

– ერთი ნაკლებად რეალური, რომ სირიამ უკან წაიღოს აღიარება და მეორე უფრო რეალური, ყველა სხვა სახელმწიფო დაფიქრდეს, რომ ეს არასწორი ნაბიჯია და ეს იწვევს ცივილიზებული სახელმწიფოების გულისწყრომას.

***– არის მოსალოდნელი, რომ კიდევ რომელიმე სახელმწიფოს მხრიდან მოხდეს აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის აღიარება?***

– დღეს ეს არ ჩანს.

# რუსეთს გაუჭირდება მუქარის შესრულება საქართველოს მიმართ

## „ისლამური სახელმწიფო“ მსოფლიოს პირველობას ემუქრება

მარიამ მჭედლიშვილი

რუსეთის საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენლები იმუქრებიან, რომ სირიის მხრიდან აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ აღიარებას სხვა სახელმწიფოების ანალოგიური ქმედებები მოჰყვება.

აზიაში შექმნილი რეალობა ისეთია, რომ რუსეთს ძალიან გაუჭირდება მუქარის შესრულება საქართველოს მიმართ. მას მოკავშირეები არ ჰყავს.

რუსეთს პრეტენზიებს უყენებს კრემლთან აშშ-ის წინააღმდეგ შეკრული ჩინეთი. ბოლო ორი წელიწადია, პეკინი მოსკოვთან მჭიდროდ თანამშრომლობს სხვადასხვა სფეროში. მიუხედავად ამისა, ამ დღეებში ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ რუსეთს საჯაროდ უთხრა საყვედური იმის გამო, რომ მან სადავო ტერიტორიაზე, სამხრეთ ჩინეთის ზღვაში, ვიეტნამთან ერთად დაიწყო ნავთობის მოპოვება.

დიპლომატებთან შედარებით, უფრო რადიკალურები არიან რიგითი ჩინელები. ისინი აცხადებენ, რომ ჩინეთმა სტრატეგიული შეცდომა დაუშვა რუსეთთან დაახლოებით.

სირიის საკითხზე შექმნილი რუსეთ-ირან-თურქეთის სამკუთხედი არამყარი და დროებითია.

ამას საუდელი ექსპერტებიც ადასტურებენ. მათი შეფასებით, რუსეთი და ირანი გაერთიანდნენ სირიის ხელისუფლების ოპოზიციისა და „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ. მათ ერთად უნდოდათ ძალთა ბალანსის შეცვლა. რუსეთსა და ირანს სხვადასხვა ინტერესი აქვთ. რუსეთს სჭირდება ასადის რეჟიმის შენარჩუნება-გაძლიერება, ირანი კი სირიაში თავის გავლენაზე ზრუნავს. თურქეთს თავისი ამოცანები ამოძრავებს. მან მოახერხა „ქურთული სარტყელის“ დამსხვრევა.



დღეისთვის რუსეთმა მიაღწია იმას, რომ ბაშარ ასადის მმართველობის დამხობა შეუძლებელია. ეს რეჟიმი კონტროლს აფართოებს სხვადასხვა კუთხეში.

არაბი ექსპერტების თქმით, რეგიონი ასეთ სირიას ვერ შეეგუება. კონტრშეტევისთვის გზა ხსნილია. საუდელები მოკავშირე აშშ-ს, ასევე ისრაელს ადანაშაულებენ იმაში, რომ ისინი ირანზე არიან კონცენტრირებული და მათთვის სულ ერთია, ვინ იქნება სირიის სათავეში.

რუსეთის მრავალმხრივ პრობლემებს, მათ შორის, ამერიკული მკაცრი სანქციებით გამოწვეულ შედეგს, შეიძლება სხვა სახის თავის ტკივილი დაემატოს. მოსკოვს ახალი სატკივარი „ისლამური სახელმწიფოსგან“ ემუქრება.

იტალიური მედია ყურადღებას ამახვილებს საფრთხეზე, რომელიც მოსალოდნელია ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატზე.

საუბარია ტერორისტული დაჯგუფება „ისლამურ სახელმწიფოზე“, რომელიც საბოლოოდ არ დაშლილა.

ავტორების აზრით, ჯიჰადისტებისთვის საკრალურია რამადანის ბოლო პერიოდი. რამადანი 15 ივნისს მთავრდება. 14-ში იწყება მსოფლიო ჩემპიონატი.

იტალიელი სპეციალისტების თქმით, რიო დე ჟანეიროს ოლიმპიადამდე 2016 წელს ისლამისტები პროპაგანდას პორტუგალიურად ავრცელებდნენ, რასაც ტერაქტი მოჰყვა. 3 კვირაა, რაც მსგავსი აგიტაცია რუსულად ვრცელდება. ეს შეტყობინებები, როგორც წესი, მიმართულია „ხალიფატის მებრძოლებისადმი“. ისინი არ არიან დაკავშირებული დაჯგუფების ცენტრთან. მსხვილი ტერაქტების მომზადების წინ, სამიზნეებში ქვედანაყოფებიც ყალიბდება.

სტადიონები ისლამისტებისთვის განსაკუთრებული ადგილია. იქ თავს იყრის უამრავი ადამიანი. არსებობს ხალხის უმართავ მასად გადაქცევის ალბათობა. მკაცრი კონტროლის პირობებში ტერორისტებისგან ოპტიმალურია ჭურვების გამოყენება სტადიონებზე.

პირველი თამაში 15 ივნისს რუსეთისა და საუდის არაბეთის გუნდებს შორის გაიმართება. ისლამისტები ორივე სახელმწიფოს დიდი ხანია ემუქრებიან.

იტალიელი ექსპერტები აცხადებენ, რომ ტერაქტების აღსაკვეთად გასაკონტროლებელია რამადანის დამამთავრებელ პერიოდში გავრცელებული ინფორმაციები.

# დავით დონდუა: „საქართველომ სირიის არაბთა რესპუბლიკასთან დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტის მიზნით პროცედურები დაიწყო“

– საქართველომ დაიწყო პროცედურები სირიის არაბთა რესპუბლიკასთან დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტის მიზნით.

ამის შესახებ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე დავით დონდუამ სპეციალურ ბრიფინგზე განაცხადა. დონდუას განცხადებით, ასადის რეჟიმმა მხარი დაუჭირა საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებულ სამხედრო აგრესიას აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის უკანონო ოკუპაციისა და წლების განმავლობაში მიმდინარე ეთნიკურ წმენდას.

– 2018 წლის 29 მაისს სირიის რეჟიმმა რუსეთის ფედერაციის მხრიდან მანიპულირების შედეგად მიიღოს კიდევ ერთი უკანონო გადაწყვეტილება და საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური ნორმებისა და პრინციპების უხეში დარღვევით აღიარა საქართველოს განუყოფელი რეგიონების, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის ე.წ. დამოუკიდებლობა. აღნიშნული ქმედებით, ასადის რეჟიმმა მხარი დაუჭირა რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებულ სამხედრო აგრესიას, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის უკანონო ოკუპაციისა და წლების განმავლობაში მიმდინარე ეთნიკურ წმენდას. ამ გზით სირიის რეჟიმმა უგულებელყო სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობა და საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ურღვეობის შესახებ საერთაშორისო სამართლებრივი ვალდებულება.

აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველომ დაიწყო პროცედურები სირიის არაბთა რესპუბლიკასთან დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტის მიზნით, – განაცხადა დონდუამ.



# რატომ ჩაანაცვლეს თხილი და ნიგოზი მზესუმზირით

ზოგს ეცინება, ზოგი ეთანხმება, ზოგს უკვირს, ნაწილმა არაფერი იცის და მეორე ნაწილისთვის კი ნიგვზისა და თხილის მზესუმზირით ჩანაცვლების იდეა სრულიად მისაღებია. გაგიკვირდებათ და მზესუმზირით კაკლოვანი კულტურების ჩანაცვლება დაკავშირებულია აზიური ფაროსანას პრობლემასთან.



### თხილის მზესუმზირით ჩანაცვლება

თხილი და კაკალი საქართველოში სხვადასხვა საკვების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინგრედიენტია, უფრო კონკრეტულად სამეგრელოში, გურიასა და იმერეთში თითქმის ყველა ოჯახში ფართო გამოიყენება. ბოლო რამდენიმე წელია, აზიური ფაროსანასგან კაკლოვანი კულტურების დაზიანების გამო, უმეტესობამ საკვებში თხილი და კაკალი მზესუმზირით ჩაანაცვლა.

– შემაძრწუნებელია ის ფაქტი, რაც გურიაში ხდება. ფაროსანას შემოსევის გამო უშედეგო გახდა გლეხის შრომა და ჯანსაღი პროდუქტის მოყვანა. ჩემს ოჯახში ნიგვზიანი კერძები ძალიან გვიყვარს, თუმცა წინა წელს მოსავალი გაგვიფუჭდა. მეზობლებისგან შევიტყვეთ, რომ საჭმელში თხილის და ნიგოზის ნაცვლად მზესუმზირას იყენებენ. ჩვენც მათ მივბაძეთ. გარჩეულ მზესუმზირას ბაზარსა და სურსათის მაღაზიებში ვყიდულობთ, – ამბობს სუფსაში მცხოვრები ქრისტინე კვერენჩხილაძე.

ჩვენი რესპოდენტი თქმით, მზესუმზირა ბევრად იაფი ღირს, მაგრამ მისი გემო განსხვავდება, პროდუქტი თხილთან და კაკალთან შედარებით ნაკლებად ცხიმიანია. როგორც დასავლეთ საქართველოში მცხოვრები მოსახლეობა ამბობს, ერთი პროდუქტის სხვა პროდუქტით ჩანაცვლება, კაკლოვანების ნაკლებობასთან ერთად, დაბალი ფასით არის განპირობებული.

ბაზარში 1კგ. ნიგვზის ფასი 25-ლარიდან იწყება. 1კგ. გაურჩეველი – ნაჭუჭიანი თხილის ფასი 8 ლარია, თუმცა გარჩეული პროდუქტი ბევრად მეტი ღირს. ფასები მნიშვნელოვნად მაღალია დიდ სუპერმარკეტებში. გარჩეული მზესუმზირის ფასი კი 3-ლარიდან 4-ლარამდე მერყეობს. მართალია ის გემოვნური თვისებებით განსხვავდება, მაგრამ იაფია და გემოთი ახლოსაა კაკლოვანებთან.

მზესუმზირას თხილისა და ნიგვზის ნაცვლად მხოლოდ ცალკეულ ოჯახებში არ გამოიყენებენ. მას ფართოდ იყენებენ რესტორებში და მზა კვების ობიექტებში.

### საიდან გაჩნდა ეს იდეა?

თხილის კუტურა დასავლეთ საქართველოშია პოპულარული, განსაკუთრებით სამეგრელოში, გურიასა და იმერეთში. საქსტატის 2016 წლის მონაცემების მიხედვით აქ 15.3; 7,2 და 3,4 ათსი ტონა თხილი იწარმოება. საქსტატის მონაცემებით, 2017 წელს თხილისა და კაკლის ექსპორტმა 82 მილიონი დოლარი შეადგინა.

დასავლეთ საქართველოში თხილის ცუდი მოსავლი ინვაზიური მწერისგან მიყენებული ზიანით იყო განპირობებული. აზიურმა ფაროსანამ მოსავლის 2/3 განადგურდა. ზარალის ერთ-ერთი მიზეზი თხილში სოკოვანი დაავადებაც იყო, რაც არადროული, არასწორად შეწამვლის ან საერთოდ შეუწამლობის გამო გაჩნდა, ერთ-ერთ მიზეზად 2017 წლის მეტეოროლოგიური (ჭარბტენიანობა) პირობებიც სახელდება.

– გასულ წელს პირადად ჩემი მეურნეობიდან 1 კგ. თხილიც კი არ მიმიღია. ასევე მოსავალის ნახევარი კოოპერატივის წევრებმაც ვერ მიიღეს, – ამბობს ლია მუხაშავრია.

ლია მუხაშავრია პროფესიით იურისტია და ბოლო რამდენიმე წელია თხილის წარმოებითაც აქტიურად არის დაკავებული. მოგვიანებით კოოპერატივიც ჩამოაყალიბა, რომელშიც, ლანჩხუთის რეგიონის 4 სოფლის 87 ოჯახია გაწევრიანებული.

– თხილის გაფუჭების მიზეზი ფაროსანასთან ერთად თხილის სხვა დაავადებებიც იყო. გურიაში თხილი ყველაზე ადვილად მოსავლელ პროდუქტად მიაჩნიათ და არ წამლავდნენ, თან გავრცელდა ხმა, რომ შესაწამლი პრეპარატები აზიანებდა არა მარტო მოსავალს, არამედ ტერიტორიას, ცხოველებს, ფუტკრებს და ა.შ. ამიტომ ყველა შეშინდა და შარშანდელი შეწამვლაც ჩავარდა. წელს კი თხილის კულტურას ქიმიური პრეპარატებით უკვე ამუშავებენ, – ლია მუხაშავრია.



ჩვენი რესპოდენტისთვის, უცხო არ არის თხილის და კაკლის მზესუმზირით ჩანაცვლების შემთხვევები. ის ამბობს, რომ არა მარტო გურიაში, არამედ იმერეთშიც და სხვა რეგიონებშიც რესტორნებსა და საკვებ ობიექტებში მსგავსი მდგომარეობის შესახებ ხშირად სმენია და თავადაც ჰქონია მზგავსი შემთხვევა.

– მართალია ეს გემოვნების საკითხია, მაგრამ არ მივესალმები ამ ფაქტს, რადგან თხილი, კაკალი და მზესუმზირა მნიშვნელოვნად განსხვავებული პროდუქტებია და მათი ჩანაცვლება არ არის სასარგებლო. მითუმეტეს, სუნელებთან და სხვა ინგრედიენტებთან მათი შერევა, – ლია მუხაშავრია.]

– „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი“, უკვე წლებია მომხმარებელთა უფლებების დაცვაზე მუშაობს. მათი ინტერაქტიური საიტი „მომხმარებელი.გე“ მოქალაქეთა მიმართვის საფუძველზე სურსათის საეჭვო ნიმუშებს ლაბორატორიულად იკვლევს. მათ ერთ-ერთმა მოქალაქემ მზა პროდუქტის ეტიკეტსა და შემადგენლობას შორის სხვაობის დასადგენად მიმართა.

მომხმარებელი ეჭვობს, რომ ნიგვზის მაგივრად პროდუქტში მზესუმზირა იყო გამოყენებული. ორგანიზაციამ პროდუქტის შესწავლა დაიწყოა, თუმცა იმის გამო, რომ საქართველოში ლაბორატორიები მსგავს ანალიზს ვერ ატარებენ, საკითხი გამოსაკვლევი დარჩა.

„მომხმარებელი.გე“-ში გვითხრეს, რომ იმ შემთხვევაში თუ კაკლის მზესუმზირით ჩანაცვლების ფაქტი დადგინდებოდა, ეს ეტიკეტირების წესის დარღვევა იქნებოდა, რომელზე რეაგირებაც სურსათის ეროვნული სააგენტოს პრეროგატივაა.

❖ ❖ ❖

მზესუმზირის თესლი გაურჩეული თუ გაურჩეველი საქართველოში დიდი რაოდენობით შემოდის უცხოეთიდან. იმპორტის მაჩვენებლმა 2018 წლის პირველი კვარტლის მონაცემებით დაახლოებით 1 მილიონ 837 ათასი დოლარი შეადგინა.



თუ გადავხედავთ წინა წლების სტატისტიკას, რაოდენობა ყოველწლირად იზრდება. თუ 2015 წელს საქართველოში 3 მლნ. 226 ათასი დოლარის მზესუმზირა შემოვიდა, 2016 წელს ამ რაოდენობამ 4 მლნ. 746 ათას დოლარზე მეტი შეადგინა, ხოლო 2017 წელს 6 მლნ. 257 ათასზე მეტია.

**ქართლი.გე**

# ზუგდიდის სკოლა 150 წლის იუბილეს მიხეილ ხუბუტიას დაფინანსებით აღნიშნავს

აკაკი წერეთლის სახელობის ზუგდიდის №1 საჯარო სკოლა დღეს 150 წლის იუბილეს, რუსეთში ქართველთა კავშირის პრეზიდენტის და ვლადიმერ პუტინთან დაახლოებული მიხეილ ხუბუტიას ფინანსური მხარდაჭერით აღნიშნავს.

სკოლის დირექტორის ნინო გოგინავას განცხადებით, ხუბუტია ღონისძიებას თავად დაესწრება და მოსწავლეებს ძვირადღირებულ საჩუქრებსაც გადასცემს. მისივე დაფინანსებით, საღამოს კონცერტი გაიმართება, სადაც ლელა წურწუმია და სხვა მომღერლები იმღერებენ.

– მე მაქვს საათნახევრიანი ჩემი პროგრამა, რის შემდეგაც, მეორე ნაწილი უკვე კონცერტს დაეთმობა. მისი ორგანიზატორია მიხეილ ხუბუტია. მან სკოლას ასეთი საჩუქარი გაუკეთა. ის იმყოფებოდა სკოლაში. მონაწილეობას მიიღებს მოსწავლეების დაჯილდოვებაში, აქვს ძვირადღირებული საჩუქრები მოსწავლეებისთვის და ჩამოსულია ბავშვების გასახარად, –



ციტირებს „ლაივპრესი“ სკოლის დირექტორის კომენტარს.

„რეგინფო“ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან დაკავშირებას ცდილობდა, თუმცა საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის თანამშრომლები სატელეფონო ზარებს არ პასუხობენ.

**რეგინფო**

# ქუთაისში საციგურაო მოედანზე 400-მდე ბავშვს ყინულის გარეშე ავარჯიშებდნენ

ქუთაისის ყინულის მოედანზე სამ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში 400-მდე ბავშვს ყინულის გარეშე ავარჯიშებდნენ. ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების ხელმძღვანელი კობა ფხაკაძე ადასტურებს, რომ „მოსწავლეები ფიზიკურ მომზადებას და ქორეოგრაფიას მოედნის გაუყინავ ზედაპირზე გადიოდნენ“.

ფხაკაძის განმარტებით, ექსპლუატაციის ვადის გასვლის გამო, აგრეგატი მწყობრიდან გამოვიდა და ველარ კეთდება, აგრეგატის გარეშე კი მოედანზე წყალს ვერ ყინავენ და ყინული აღარ არის.

– ყინულის მოედანზე აგრეგატი 2011 წელს დაიდგა. ექსპლუატაციის 4-წლიანი ვადა ჰქონდა. სხვადასხვა ნაწილების გაფუჭება იანვრიდან დაიწყო. ახლა ისეთი ნაწილია მწყობრიდან გამოსული, რომ უცნობია, მისი გამოცვლის შემდეგ ამუშავდება თუ არა მოწყობილობა. ამიტომ, ახალი აგრეგატის ყიდვის საკითხი განიხილება. ამაში ჩართულია სპორტის სამინისტრო და ადგილობრივი ხელისუფლება. ვეცდებით, ყინულის მოედანმა რაც შეიძლება მალე განაახლოს მუშაობა. ბავშვები ფიზიკურ მომზადებას მაინც გადიოდნენ, შემდეგ იმ მოძრაობებს ყინულზე გადაიტანენ, – უთხრა კობა ფხაკაძემ „რეგინფოს“.

მისივე თქმით, იმ შემთხვევაში თუ პრობლემა უახლოეს მომავალში ვერ მოგვარდა, მოციგურავეებს სავარჯიშოდ ბათუმის ყინულის მოედანზე ატარებენ.



2018 წლის თებერვლის მონაცემებით, ქუთაისის ყინულის მოედანზე 400-ზე მეტი ბავშვი ვარჯიშობდა. მოედანზე ემზადებოდნენ ჰოკეისტებიც.

ხელოვნურსაფარიანი საციგურაო მოედანი ქუთაისში 2010 წელს გაიხსნა. ახალი კონსტრუქციის დამონტაჟება 480 ათასი ლარი დაჯდა და იგი ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა. ყინულის მოედანი ინგლისიდან ჩამოიტანეს. მისი ფართობი 600 კვადრატული მეტრია და ერთდროულად 200 ადამიანს შეუძლია ციგურაობა.

**რეგინფო**

# სახელმწიფო აზიური ფაროსანას შესაწამლ პრეპარატებს უფასოდ აღარ დაარიგებს

სამეგრელოში აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ქიმიური წამლობა ორ კვირაზე მეტია მიდინარეობს. ტემპერატურის მატებასთან ერთად, მავნებელი საკარმიდამო ნაკვეთებში, ბაღებში, ბოსტნებსა და პლანტაციებში ინაცვლებს. რა მდგომარეობაა ხობის მუნიციპალიტეტში ამ მხრივ და რა ინფორმაცია აქვს ადგილობრივ მოსახლეობას მავნებლის წინააღმდეგ საბრძოლველად?

ახალსოფლის მკვიდრი გვიყვება, რომ წინა წელთან შედარებით მათ სოფელში მცირე რაოდენობის ფაროსანაა, თუმცა ფიქრობენ, რომ ზაფხულში მათი რაოდენობა მოიმატებს. ადგილობრივები ამბობენ, რომ 2017 წელს მიყენებული ზარალის შემდეგ, მოსახლეობა ბაღლინჯოს წინააღმდეგ საბრძოლველად უფრო ინფორმირებულია და საკუთარი პასუხისმგებლობაც გაცნობიერებული აქვთ. გიორგი გორგაძე ამბობს, რომ 2016 წელს სახელმწიფოს მიერ დარიგებული ქიმიური პრეპარატების ნაწილი მოსახლეობას წელსაც აქვს და სწორედ მათი საშუალებით ამუშავებს მცრე ზომის ნაკვეთებს.

შეგახსენებთ, რომ მიმდინარე წელს სახელმწიფო აზიური ფაროსანას შესაწამლ პრეპარატებს უფასოდ აღარ დაარიგებს. მოსახლეობას ქიმიური საშუალების საკუთარი სახსრებით შეძენა მოუწევს. 1 ჰექტარი ფართობის შესაწამლი 1 ლიტრი წამალი საშუალეოდ 35 ლარი ღირს.



აზიური ფაროსანას საწინააღმდეგო ქიმიური წამლობა სამეგრელოს, გურიისა და იმერეთის რეგიონებში უკვე აქტიურად მიმდინარეობს. სოფლის ტერიტორიები თერმული ნისლის ტექნოლოგიის გამოყენებით მუშავდება. სეს-ის განმარტებით, ქიმიური წამლობის არეალი და ვადა მონიტორინგის საფუძველზე განისაზღვრა. ამჟამად კი იმ ფართობების ქიმიური დამუშავება მიმდინარეობს, სადაც დამჭერებზე მავნებლის ზღვრული ოდენობა დაფიქსირდა.

**ქართლი.გე**

# გორის მაღალმთიან სოფლებში 4.948 მოქალაქეა რეგისტრირებული

გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე მაღალმთიან სოფლებში სულ 4948 მოქალაქეა რეგისტრირებული. ამის შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ გორის მერიას აცნობა.




რეესტრის მონაცემებით, რეგისტრაცია მოსახლეობამ 2015-2017 წლებში გაიარა. საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 დეკემბრის დადგენილებით, რიგ სოფლებს მაღალმთიანი დასახლების სტატუსი მიენიჭა.

მერიის ცნობით, რეგიონში ასეთი სტატუსით 51 სოფელი სარგებლობს. სიაში ვერ მოხვდა ფლავი, ფლავისმანი და ქერე, რომელთა მოსახლეობა სტატუსის მინიჭებას ითხოვდა.

2018 წლიდან მონაცემებთან დაკავშირებით მონიტორინგი ხორციელდება. მონიტორინგის შედეგად, მუნიციპალიტეტში 48 მოქალაქეს აღნიშნული სტატუსი მოეხსნა. ბოლო ორ წელიწადში ასეთი სტატუსის მქონე 195 მოქალაქე გარდაიცვალა.

**ქართლი.გე**

# „ევროკავშირის შენგენის ზონაში უვიზო რეჟიმის გაუქმების საფუძველი ნამდვილად არ არსებობს“

გერმანული გამოცემა „შპიგელი“ საქართველოს ვიცე-პრემიერთან, შინაგან საქმეთა მინისტრთან გიორგი გახარიასთან ინტერვიუს აქვეყნებს.

როგორც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაშია ნათქვამი, საუბრის თემა საქართველოსთვის მინიჭებულ უვიზო მიმოსვლის რეჟიმს, თავშესაფრის მაძიებელთა რაოდენობას, ქართველების მიერ ევროპაში ჩადენილი კრიმინალის დონესა და სტატისტიკურ მონაცემებს შეეხება. გიორგი გახარია აცხადებს, რომ უვიზო რეჟიმი საქართველოს უდიდესი მონაპოვარია, რომლის შენარჩუნება და მდგრადობაც უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

– 2017 წლის 28 მარტს უვიზო რეჟიმის ამოქმედებიდან მიმდინარე წლის 21 მაისის მდგომარეობით, უშუალოდ საქართველოდან, მხოლოდ საჰაერო გზით შენგენის მიმართულებით საქართველოს 250.000-ზე მეტმა მოქალაქემ.

300.000-ზე მეტი ვიზიტი განახორციელა. მითითებულ პერიოდში, კონკრეტულად გერმანიაში, საქართველოს 66.091 მოქალაქემ განახორციელა 86.304 ვიზიტი. რეალურად სხვადასხვა მარშრუტებით ევროპაში შესულ მგზავრთა ნაკადი ბევრად აღემატება ამ მონაცემს. უფრო მეტიც, თავშესაფრის მაძიებლების რაოდენობა ევროკავშირის ქვეყნებში ამ ციფრებთან შედარებით არის ძალზე უმნიშვნელო. აღნიშნული მიუთითებს, რომ საქართველოს მრავალი მოქალაქე ყველა წესის დაცვით სარგებლობს უვიზო მიმოსვლით და იღებს ყველა სარგებელს, რაც უვიზო რეჟიმს მოაქვს ჩვენი ქვეყნისთვის, – აცხადებს გიორგი გახარია.

რაც შეეხება თავშესაფრის მაძიებელთა ტალღას, რომელიც ერთგვარ კრიტიკასაც კი იწვევს, შინაგან საქმეთა მინისტრის განცხადებით, საქართველოდან შენგენის ქვეყნებში შესვლის და დარჩენის მსურველთა რაოდენობის ზრდა არ არის განსაკუთრებული შემთხვევა, რადგან მსგავსი ტენდენცია ევროპის სხვა ქვეყნებთან მიმართებითაც ფიქსირდება. გიორგი გახარიას განცხადებით, პირველი წელი არის კრიტიკული ფაზა – პირველი ტალღა, რომელსაც, როგორც სხვა ქვეყნების გამოცდილება ცხადყოფს, კლების ტენდენცია მოჰყვება. აღნიშნული პოზიტიური დინამიკა უკვე სახეზეა საქართველოს შემთხვევაშიც. მისი თქმით, 2018 წლის იანვრიდან ყოველთვიურად ფიქსირდება თავშესაფრის მაძიებლების რაოდენობის კლება და იანვართან შედარებით აპრილში 58%-ით ნაკლები განაცხადი არის დაფიქსირებული. რაც შეეხება კრიმინალს, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის თქმით, მჭიდრო საპოლიციო თანამშრომლობის შედეგად, ბოლო ორ წელიწადში დანაშაულში მხილებული პირების თუ მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის, ასევე ბინის ქურდობის რიცხვი შემცირებულია.




– მე ვფიქრობ, რომ აჟიოტაჟი, რომელიც შეიქმნა მედიასა თუ პოლიტიკურ სპექტრში, ცოტა გადაჭარბებულია. გერმანიის პოლიციის კრიმინალური სტატისტიკა სრულყოფილ ინფორმაციას იძლევა და ერთმნიშვნელოვნად გვიჩვენებს, რომ 2016 და 2017 წლებში დანაშაულში მხილებული ქართველების წილი დანაშაულში მხილებულთა მთლიან რაოდენობაში 0,3%-ს შეადგენს. ჩვენ მტკივნეულად განვიცდით თითოეულ შემთხვევას და არ ვაკნინებთ ფაქტებს, თუმცა მიმაჩნია, რომ უვიზო რეჟიმის გაუქმების საფუძველი ნამდვილად არ არსებობს, – აცხადებს გიორგი გახარია.

ინტერვიუში საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი იმ პრევენციულ ღონისძიებებზეც საუბრობს, რომელსაც საქართველოს მთავრობა ახორციელებს. მათ შორის საკანონმდებლო ცვლილება, რომელმაც გვარის შეცვლის შესაძლებლობები შეზღუდა და ინტენსიური საინფორმაციო კამპანიები. ასევე, მინისტრის თქმით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საპოლიციო თანამშრომლობა ევროკავშირის ქვეყნებთან.

– შინაგან საქმეთა სამინისტროს წარგზავნილი ჰყავს პოლიციის ატაშეები ევროკავშირის 8 ქვეყანაში: ავსტრია, გერმანია, ესპანეთი, იტალია, პოლონეთი, საბერძნეთი, საფრანგეთი, შვედეთი. თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით იგეგმება ატაშეების ქსელის გაფართოება, რაც გულისხმობს ახალი ატაშეების წარგზავნას და რიგ შემთხვევებში, ერთი ატაშეს მიერ რამდენიმე ქვეყნის გადაფარვას. უახლოეს პერიოდში წარვგზავნით საქართველოს პირველ მეკავშირე ოფიცერს ევროპოლში, – აცხადებს გიორგი გახარია.

**ბპნ**

# 2030 წლისთვის ელექტრომობილების რაოდენობა 125 მილიონს მიაღწევს

საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტოს (IEA) მიხედვით, 2030 წლისთვის მსოფლიოში ელექტრომობილების რაოდენობა 125 მილიონს მიაღწევს. სააგენტოს ანგარიშში ვკითხულობთ, რომ ელექტრომობილების რაოდენობის ზრდას სხვადასხვა რეგულაციები შეუწყობს ხელს, რომელიც წაახალისებს ადამიანებს, შეიძინონ გარემოზე ნაკლები ზიანის მომტანი ავტომობილები.

2017 წელს მსოფლიოში არსებული ელექტრომობილების რაოდენობა დაახლოებით 3.1 ავტომობილს შეადგენდა.

ელექტრომობილების უმსხვილეს ბაზარს ჩინეთი წარმოადგენს, სადაც ელექტრომობილების გაყიდვები 72%-ით, 580,000 ავტომობილამდე გაიზარდა. ჯამში ჩინეთში ამ მომენტისთვის ჩინეთში არსებული ელექტრომობილების რაოდენობამ 1 მილიონს გადააჭარბა.



საინტერესოა, რომ მიმდინარე წლის დასაწყისში ნორვეგიაში გაყიდული ავტომობილების 50%-ზე მეტი ჰიბრიდებმა და ელექტრომობილებმა შეადგინეს.

2040 წლიდან ბენზინსა და დიზელზე მომუშავე ავტომობილებზე უარს ამბობენ დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი. პარალელურად, მსხვილი ავტომწარმოებლები, როგორებიცVolkswagen, Volvo და სხვები არიან, დროთა განმავლობაში მხოლოდ ელექტრომობილებისა და ჰიბრიდების გამოშვებას აპირებენ.

**კომერსანტი**

# საქართველოში ეკონომიკური მდგომარეობა გაუარესდა – IRI

IRI-ს კვლევის მიხედვით, გამოკითხულთა 63% თვლის, რომ მისთვის 12 თვის განმავლობაში საქართველოში ეკონომიკური მდგომარეობა გაუარესდა.

აქედან 35% აღნიშნავს, რომ ბოლო ერთ წელიწადში საქართველოში ეკონომიკური მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა, 28% კი ამბობს, რომ ეკონომიკური მდგომარეობა ქვეყანაში გარკვეულწილად არის გაუარესებული.

გამოკითხულთა 27% ფიქრობს, რომ მდგომარეობა არ შეცვლილა, 8% კი გაუმჯობესებაზე მიუთითებს, აქედან 1% მკვეთრ გაუმჯობესებაზე, 7% კი გარკვეულწილად გაუმჯობესებაზე საუბრობს.

აპრილში 2017 წლის მარტთან შედარებით, კვლევის მიხედვით შემცირებულია იმ ადამიანების რიცხვი, ვინც ფიქრობს, რომ ბოლო 12 თვის განმავლობაში ქვეყანაში ეკონომიკური მდგომარეობა გაუარესდა.



2017 წლის მარტში ასეთი პასუხი გამოკითხულთა 70%-მა დააფიქსირა.

რაც შეეხება იმავე შეკითხვას, ოღონდ შინამეურნეობებთან მიმართებით, ამ შემთხვევაში მდგომარეობა ოდნავ განსხვავებულია.

გამოკითხულთა 51% მიიჩნევს, რომ ეკონომიკური მდგომარეობა მის საოჯახო მეურნეობაში გაუარესდა; 41% მიიჩნევს, რომ იგივე დარჩა, 7% კი გარკვეულ გაუმჯობესებაზე საუბრობს.

**კომერსანტი**

# საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობა არ გაძვირდება

– თბილისის მერია საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაძვირების საკითხს არ განიხილავს და არც გეგმავს. ზოგიერთი მედიასაშუალებისა და პოლიტიკური ორგანიზაციის მიერ გავრცელებული ინფორმაცია, თითქოსდა, მოსალოდნელია ავტობუსებითა და მეტროთი მგზავრობის საფასურის მატება, სრული დეზინფორმაციაა და სიმართლესთან არაფერი აქვს საერთო. ასევე, გაუგებარია ამ მცდარი ვარაუდის დაკავშირება საზოგადოებრივი ტრანსპორტის მარშრუტების რეორგანიზაციის გეგმის შემუშავებასთან, – ამ ინფორმაციას თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახური ავრცელებს.ტრანსპორტის სამსახურის განცხადებით, თბილისის მერია საზოგადოებრივი ტრანსპორტით მომსახურებაში სოციალურ ფაქტორს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტად განიხილავს. მუნიციპალიტეტი ყოველწლიურად 60 მილიონ ლარს ხარჯავს საზოგადოებრივ ტრანსპორტში მოქალაქეთა შეღავათიანი და უფასო მგზავრობის დასაფინანსებლად.

– თბილისის მერიისთვის სატრანსპორტო პოლიტიკის წარმართვისას პრინციპულად მნიშვნელოვანია მოსახლეობისთვის დაბალტარიფიანი და შეღავათიანი მგზავრობის შეთავაზება. გარდა ამისა, ჩვენი პრიორიტეტია, საზოგადოებრივი ტრანსპორტი გახდეს მეტად სწრაფი და კომფორტული, ამ მიზნით იგეგმება არსებული ავტოპარკის სრული განახლება და მეტროს შემადგენლობების დამატება. მთლიანობაში, ეს ყოველივე საზოგადოებრივი ტრანსპორტის ხელმისაწვდომობის ზრდას და მის პოპულარიზაციას განაპირობებს, – აღნიშნულია განცხადებაში.




**კომერსანტი**

# „აირზენა“ თბილისი–კიოლნის მიმართულებით ფრენებს წყვეტს

ავიაკომპანია Georgian Airways-ი 1-ელი ივნისიდან თბილისი-კიოლნის მიმართულებით ფრენებს წყვეტს.

ფრენების შეჩერების მიზეზად კომპანიაში „დატვირთვის შემცირება“ დაასახელეს. სხვა დეტალებზე კომპანიაში არ საუბრობენ.

„აირზენამ“ კიოლნის მიმართულებით რეგულარული ავიარეისების განხორციელება 25 მარტიდან დაიწყო. თუმცა 2-თვიანი რეისების შემდეგ ფრენების შეწყვეტის გადაწყვეტილება მიიღო. თბილისი-კიოლნი-თბილისი, კვირაში 2 სიხშირით, ყოველ სამშაბათსა და ხუთშაბათს სრულდებოდა.



**ბპნ**

# კომპანიამ „ვაკის ხორცპროდუქტები“ ახალი ქარხნის მშენებლობა დაიწყო

კომპანიამ „ვაკის ხორცპროდუქტები“ ახალი ქარხნის მშენებლობა დაიწყო. ამის შესახებ „კომერსანტთან“ კომპანიის გენერალური დირექტორი ლევან ჩხაიძე აცხადებს. მისი ინფორმაციით, ამ დროისთვის მიმდინარეობს ერთგვარი მოსამზადებელი სამუშაოები, დაახლოებით 10 დღეში კი სამშენებლო პროცესი აქტიურ ფაზაში შევა.

ჩხაიძე აცხადებს, რომ მშენებლობის დაწყება რამდენიმე თვით ადრე იყო დაანონსებული, თუმცა, ის ტექნიკური მიზეზების გამო გაჭიანურდა. ახალი ქარხნის მშენებლობა, სავარაუდოდ, 2018 წლის ბოლოსთვის დასრულდება.



„ვაკის ხორცპროდუქტების“ გენერალური დირექტორის განცხადებით, კომპანიას ახალი ქარხნისთვის 900 კვ. მ. ფართი სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში გადაეცა. ჩხაიძე აცხადებს, რომ კომპანია ვაკის ხორცპროდუქტები ახალი ქარხნის მშენებლობაში დაახლოებით 5-6 მილიონი ლარის ინვესტიციას განახორციელებს.

ვაკის ხორცპროდუქტების გენერალური დირექტორის ინფორმაციით, ქარხნის ამუშავების შემდეგ ქარხნის წარმადობა დღეში 25 ტონა იქნება, გაფართოვდება ასორტიმენტი და კომპანიის საფირმო მაღაზიების რიცხვიც გაიზრდება. ამჟამად კომპანია 70 დასახელების ხორცპროდუქტებს აწარმოებს, გაფართოების შემდეგ კი ასორტიმენტი 150-მდე გაიზრდება.

2015 წლის 13 ივნისის სტიქიამ „ვაკის ხორცპროდუქტების“ ქარხანა მთლიანად გაანადგურა. დაიტბორა საწარმოს მთლიანი ტერიტორია, გაფუჭდა პროდუქციაც. ზარალის სავარაუდო ოდენობამ რამდენიმე მილიონი ლარი შეადგინა.

„ვაკის ხორცპროდუქტებმა“ წარმოება სტიქიიდან დაახლოებით ერთ თვეში განაახლა. კომპანია პროდუქტს ჯერჯერობით შეზღუდული რაოდენობით უშვებს. კომპანია ლილოში, „იოლის“ ქარხანაშია გადასული.

**კომერსანტი**

# საქართველოში დაბრუნებულ 339 მიგრანტს მცირე ბიზნესის დასაწყებად გრანტი გადაეცა

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს სარეინტეგრაციო დახმარების პროგრამის ფარგლებში, საქართველოში დაბრუნებულ 339 მიგრანტს მცირე ბიზნესის დასაწყებად გრანტი გადაეცა.

დევნილთა და განსახლების მინისტრი სოზარ სუბარი კახეთის რეგიონში იმ დაბრუნებულ მიგრანტებს შეხვდა, რომლებსაც სახელმწიფომ პროექტები დაუფინანსა. სამინისტროს ინფორმაციით, დღეს, არალეგალური ემიგრაციიდან დაბრუნებულ მიგრანტებს საკუთარი შემოსავალი აქვთ და ქვეყნის დატოვებაზე აღარ ფიქრობენ.

12-წლიანი, არალეგალური, ემიგრაციიდან დაბრუნებულმა ქეთევან მიშიძემ, რეინტეგრაციის პროგრამის დახმარებით, ხის სადურგლოსათვის საჭირო იარაღები შეიძინა და დღეს, მეუღლესთან ერთად, საოჯახო ბიზნესი აქვს.



გერმანიიდან დაბრუნებულმა იროდიონ მამუკაშვილმა გრანტის საშუალებით თელავში საოჯახო სასტუმრო გააკეთა. მებოცვრეობის პროექტი დაუფინანსდა ამერიკის შეერთებული შტატებიდან დაბრუნებულ გიორგი მიქელაძეს. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა გადაეცა რუსეთიდან დაბრუნებულ მარიამ კაციაშვილს, რომელსაც გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ შაშიანში მარწყვის ბაღი აქვს.

„საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტთა სარეინტეგრაციო დახმარების პროგრამის“ ფარგლებში, კახეთის რეგიონში, ჯამში, 28 პროექტი დაფინანსდა.

**კომერსანტი**

# „ფარცვანია და ბუკია მეგობრები იყვნენ, ერთმანეთს ეუბნებოდნენ, მეჯვარეები ვიყოთო, ალბათ იარაღი გაუვარდა“

## საზარელი მკვლელობა ხობში

გუშინ, 30 მაისს, ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველ მაისში საზარელი მკვლელობა მოხდა.

სადილი ფარცვანიების ოჯახში მასში მონაწილე სამი მამაკაცის მკვლელობით დასრულდა.

ცეცხლსასროლი იარაღით მოკლული სამი ახალგაზრდა მოკლული გოგიტა ფარცვანიას დედამ ნახა, რომელიც შემთხვევის დროს მაღაზიიდან ბრუნდებოდა.

გარდაცვლილთა შორის არიან დათა ბუკია და ხელოსანი, რომელიც ფარცვანიების სახლში სარემონტო სამუშაოებს ატარებდა.

მკვლელობას თვითმხილველი არ ჰყავს და დეტალები უცნობია. გოგიტა ფარცვანია დაცვის პოლიციაში მუშაობდა და იარაღი სახლში ჰქონდა.

წინასწარი ინფორმაციით, სამივე მოკლულს თავში აქვს ტყვია მოხვედრილი.

ერთ-ერთი ვერსიით, მკვლელობაში ბრალდებულმა თავი მოიკლა.

– სამივეს თავში აქვს ტყვია მოხვედრილი, ერთად სადილობდნენ, არავითარი ვარაუდი არ გვაქვს, რაც ვნახეთ, ეს არის სამი გარდაცვლილი და იარაღი, საიდანაც, სავარაუდოდ, მკვლელობა მოხდა, – აცხადებს მეზობელი.



ერთ-ერთი ადგილობრივის თქმით, ფარცვანია და ბუკია ახლო მეგობრები იყვნენ. მათი მეგობრები გამორიცხავენ, რომ გიორგის ბავშვობის მეგობარი განზრახ მოეკლა.

– მშრომელი ბიჭები იყვნენ, ერთი ასაკის არიან და დროს ხშირად ერთად ატარებდნენ. არც ერთი მათგანი დაოჯახებული არ ყოფილა. მეტიც, ერთმანეთს ეუბნებოდნენ, მეჯვარეები ვიყოთ, რომელიმეს ქორწილშიო, დღეს რა მოხდა, არ ვიცი, მთელი სოფელი დამუნჯებულია. სავარაუდოდ, ეს ჩემი ვარაუდია, მეგობრებიდან ერთ-ერთს ცეცხლსასროლი იარაღი გაუვარდა, შემდეგ კი აფექტის მდგომარეობაში სხვისი ოჯახიც დაღუპა და თავიც დაიღუპა, – აცხადებს მოკლული ახალგაზრდების მეგობარი.

სამივე მოკლული ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში გადაასვენეს.

56 წლის მამაკაცს, რომელიც ფარცვანიას სახლში მუშაობდა, ხინულაში, საკუთარ საცხოვრებელ სახლში გადაასვენებენ.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლით დაიწყო, რაც დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

„გამოძიების პირველადი ინფორმაციით, ხობის რაიონის სოფელ პირველ მაისში 1980 წელს დაბადებული გ.ფ., მისი მეზობელი – 1980 წელს დაბადებული დ.ბ. და ხელოსნად მომუშავე – 1962 წელს დაბადებული ე.კ. გ.ფ.-ს საცხოვრებელ სახლში სადილობდნენ. მაღაზიიდან დაბრუნებულ გ.ფ.-ს დედას სამივე პირი გარდაცვლილი დახვდა. მათ, სავარაუდოდ, ცეცხლსასროლი იარაღიდან მიყენებული ჭრილობები აღენიშნებოდათ. პოლიციამ შემთხვევის ადგილიდან „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტი ამოიღო, რომელიც გ.ფ.-ს სახელზეა რეგისტრირებული.

აღსანიშნავია, რომ გ.ფ. ყოფილი პოლიციელია (იგი შინაგან საქმეთა სამინისტროდან 2013 წელს დაითხოვეს) და ამჟამად ერთ-ერთი კომპანიის უსაფრთხოების სამსახურის უფროსად მუშაობდა“, – წერია შს სამინისტროს განცხადებაში.

# ანა ნაცვლიშვილი ხორავას ქუჩაზე მკვლელობის საქმეზე: „კითხვები უფრო გამრავლდა“

## მოსამართლე ეკა არეშიძე განაჩენს დღეს გამოაცხადებს

– გამოძიების გაგრძელებასთან ერთად, პასუხების გაცემის ნაცვლად, კითხვები უფრო გამრავლდა. ამის შესახებ პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანმა, ანა ნაცვლიშვილმა, ხორავას ქუჩაზე მოკლული დავით სარალიძის მამასთან, ზაზა სარალიძესთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა.



მისი თქმით, იმდენად ბევრი კითხვაა დაგროვილი, რომ პრეზიდენტის ადმინისტრაცია აქტიურად მიადევნებს ამ საქმეს თვალს.

– ამ ძალიან ტრაგიკული საქმის შესახებ ინფორმირებული ვიყავით მედიის საშუალებით, მაგრამ სურვილი გვქონდა, რომ უშუალოდ შევხვედროდით დაზარალებულებს და მათ წარმომადგენლებს იმისთვის, რომ ყველა დეტალი და ყველა ინფორმაცია მათგან მოგვესმინა.

ამ საქმეს თავიდანვე ჰქონდა არაერთი კითხვის ნიშანი და, გამოძიების გაგრძელებასთან ერთად, პასუხების გაცემის ნაცვლად, კითხვები უფრო გამრავლდა.

მართლმსაჯულების სისტემა იმ კითხვებზე პასუხის გასაცემად არსებობს, რომლებიც საზოგადოებასა და დაზარალებულებში ჩნდება. იმდენად ბევრი კითხვაა დაგროვილი, რომ ჩვენ ამ საქმეს ძალიან აქტიურად მივადევნებთ თვალს, შევხვდებით ყველა ჩართულ მხარეს და მოვისმენთ ყველა მოსაზრებას, – განაცხადა ანა ნაცვლიშვილმა.

მისივე ინფორმაციით, პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენლები დღეს ხორავას ქუჩაზე მოკლული ლევან დადუნაშვილის ოჯახის წევრებს შეხვდებიან.

* * *

ხორავას ქუჩაზე მოზარდების მკვლელობის საქმეზე ერთ-ერთი ბრალდებულის ადვოკატი ინგა შარაშენიძე მისი კლიენტის მიმართ გამამართლებელი განაჩენის გამოტანას მოითხოვს.

ადვოკატის განცხადებით, ბრალდების მხარემ ვერ დაადასტურა წარდგენილი დასკვნებით ის ბრალი, რასაც მისი დაცვის ქვეშ მყოფს ედავებიან.

– ბრალდების მხარე ცდილობს, მხოლოდ მოწმეთა ჩვენებებით დაადასტუროს განზრახ მკვლელობა, რაც აბსურდია. დარწმუნებული ვარ, სასამართლო გაიზიარებს ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილ დასკვნებს. თუ სასამართლო იტყვის, რომ მაია ნიკოლეიშვილის და ომარ ჯოხაძის დასკვნებს არ გაიზიარებს, ამ შემთხვევაში იძულებული გახდება, ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნა გაიზიაროს. ამ შემთხვევაში, იმედი მაქვს, რომ განაჩენი ჩემი დაცვის ქვეშ მყოფის სასარგებლოდ გამოცხადდება, – ამბობს ადვოკატი.

მისივე თქმით, ბრალდებული ერთ-ერთ გარდაცვლილს 10 ჭრილობას 2 წამში ვერ მიაყენებდა.

– ჩემი დაცვის ქვეშ მყოფს ორი პირის განზრახ მკვლელობის ბრალი აქვს წარდგენილი. ერთი პირის ნაწილში ედავებიან, რომ 10 სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა ერთ წამში, ხოლო მეორეს ნაწილში ედავებიან, რომ ორივე ჭრილობა, ერთი მძიმე და ერთი სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა. ბრალდების მხარე აცხადებს, რომ ეს დაახლოებით, ორ წამში ხდებოდა.

ორ წამში ჩემმა დაცვის ქვეშ მყოფმა შეძლო თურმე ორი პირის მკვლელობა. აბსურდია! ის არანაირ ბრალს არ აღიარებს. სასამართლოს წინაშე გამამართლებელი განაჩენის გამოტანას ვითხოვ, – განაცხადა ინგა შარაშენიძემ.

გუშინ ხორავას ქუჩაზე მოზარდების მკვლელობის საქმის სასამართლო განხილვა დასრულდა. მოსამართლე ეკა არეშიძე განაჩენის გამოსატანად სათათბიროდ გავიდა.

სისხლის სამართლის მოსამართლე განაჩენს დღეს, 11 საათზე, გამოაცხადებს.

დღევანდელ სხდომაზე მოსამართლე მხოლოდ ბრალდებულებთან დაკავშირებით განსაზღვრავს, გამამტყუნებელ განაჩენს გამოიტანს თუ გამამართლებელს. ამის შემდეგ კი მოსამართლე კიდევ ერთ სხდომას ჩანიშნავს, სადაც თუ გამამტყუნებელ განაჩენს გამოიტანს, ბრალდებულებს სასჯელის ვადას განუსაზღვრავს.

# ქუთაისში უცხოელ ტურისტს ავტომანქანა დაეჯახა

ქუთაისში ქვეითთა გადასასვლელზე უცხოელ ტურისტებს ავტომანქანა დაეჯახა. ახალგაზრდა ქალს თან მცირეწლოვანი შვილი ჰყავდა.

დაშავებულის მდგომარეობა უკიდურესად მძიმეა. იგი სასწრაფო სამედიცინო ბრიგადამ ქუთაისის ერთ-ერთ საავადმყოფოში გადაიყვანა.

თვითმხილველების განცხადებით, ბავშვის დედას გვერდით მყოფმა მეუღლემ შვილი დროულად გამოართვა, შესაბამისად, ბავშვს დაზიანებები არ მიუღია.

მძღოლი სამართალდამცავებს ჩაბარდა და შემთხვევის ადგილი არ მიუტოვებია.

# ავარიას ლაგოდეხში 22 წლის ბიჭი ემსხვერპლა

ლაგოდეხში, სოფელ ბაისუბანში, გამთენიისას, მსუბუქი ავტომანქანა განათების ბოძს შეეჯახა. შემთხვევის შედეგად 22 წლის ბიჭი დაიღუპა, 2 ადამიანი კი დაშავდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდარზე გამოძიება 276-ე მუხლის მე–5 ნაწილით დაიწყო, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

# ლომისობაზე რამდენიმე ადამიანი დაშავდა

დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მლეთაში, სადაც ლომისობის დღესასწაულს აღნიშნავენ, რამდენიმე ადამიანი დაშავდა, რომლებიც დუშეთის საავადმყოფოში არიან გადაყვანილი.

# ზუგდიდში ბავშვის მძევლად აყვანისთვის დაკავებული ემა კვირტია გამოუშვეს

ზუგდიდში არასრულწლოვანის მძევლად აყვანისათვის დაკავებული ემა კვირტია პროკურატურამ გაათავისუფლა. ამის შესახებ გათავისუფლებულის ადვოკატმა ბაჩუკი ყურაშვილმა განაცხადა.



ადვოკატის თქმით, პროკურატურამ გაითვალისწინა, რომ დაკავებულებს ორი შვილი ჰყავთ.

ცოლ-ქმარს ბრალი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144-ე მუხლის მე-2 ნაწილის ა და ზ ქვეპუნქტებით აქვთ წარდგენილი, რაც ჯგუფის მიერ არასრულწლოვანის მძევლად აყვანის მიზნით ხელში ჩაგდებას ნიშნავს.

დაკავებულები წარდგენილ ბრალდებაში თავს უდანაშაულოდ მიიჩნევენ. ადვოკატი ამბობს, რომ ამ ოჯახებს კარგი ურთიერთობა ჰქონდათ ერთმანეთთან, შესაბამისად, ბავშვი ხშირად იყო ბრალდებულების ოჯახში და მათ არანაირი მიზეზი არ ჰქონდათ, ბავშვი მძევლად აეყვანათ.

29 მაისს გავრცელდა ინფორმაცია, რომ ზუგდიდში მოქალაქეებმა ვასიკო ახალაიამ და ემა კვირტიამ ქალის შვილი, რომელსაც მათი ვალი ჰქონდა, სახლიდან წაიყვანეს და დედას განუცხადეს, რომ სანამ ვალს არ დააბრუნებდა, შვილს არ ანახებდნენ.

ვასიკო ახალაია და ემა კვირტია სასამართლოს განჩინების საფუძველზე დააკავეს.

## კალეიდოსკოპი

# ბავშვის მკვლელს საკუთარი განაჩენის მოსმენის დროს ჩაეძინა

უსახლკარო მამაკაცს, რომელიც დამნაშავედ ცნეს ექვსი წლის ბავშვის მკვლელობაში, მისი განაჩენის გამოცხადების დროს, რომლის მიხედვითაც მას 50 წლით პატიმრობა მიესაჯა, ჩაეძინა.



31 წლის მამაკაცი, გვარად ჰიუბერტი, თავიდანვე უარყოფდა მკვლელობასთან რაიმე კავშირს და მოსამართლეს სთავაზობდა, მის სახეს კარგად დაკვირვებოდა, რადგან ის კარგი ადამიანი იყო.

ამის მიუხედავად, მკვლელობის ადგილზე უამრავი მტკიცებულება აღმოჩნდა, რომელიც განსასჯელის დანაშაულზე მიუთითებდა, მათ შორის დნმ-ის ნიმუშებიც.

გამოძიების მონაცემებით, დანით შეიარაღებული ჰიუბერტი ორ ბავშვს ლიფტში შეყვა. დაზარალებულები აღმოჩნდნენ შვიდი წლის მაიკლი და ექვსი წლის პი ჯეი. გოგონას დანით 16 ჭრილობა ჰქონდა მიყენებული, ბიჭს – 11. დასისხლიანებული ბავშვები ლიფტის კაბინაში აღმოაჩინეს და საავადმყოფოში გადაიყვანეს. პი ჯეი ფილტვში მიყენებული სასიკვდილო ჭრილობისგან დაიღუპა, მაიკლმა კი საავადმყოფოში ცხრა დღე დაჰყო.

მამაკაცი ადრეც წარმდგარა სასამართლოს წინაშე. ის ციხეში საკუთარი დედის მკვლელობის მცდელობისთვის იჯდა. მისი ოჯახი ამტკიცებდა, რომ მას ფსიქიკური აშლილობა აქვს, თუმცა განთავისუფლების შემდეგ ექიმების დახმარება არ მიუღია. განაჩენის გამოცხადების შემდეგ განსასჯელს გაეღვიძა და რაღაცას უაზროდ ლუღლუღებდა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე–10 კორპუსი.**

**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

2018, 31 მაისი, №127

# „პუტინ, აქედან წაეთრიე!“ — პაშინიანმა მთავრობაში პროდასავლელი მოღვაწეები მოიყვანა




25 მაისს სომხეთის დიასპორის მინისტრის მოადგილედ ბაბკენ ტერ-გრიგორიანი დანიშნეს. ტერ-გრიგორიანი დაიბადა პარიზში, გაიზარდა და განათლება მიიღო აშშ-ში, იყო სოროსის ფონდის პროგრამების კოორდინატორია. ამასთანავე, ტერ-გრიგორიანი შეითავსებს პრემიერ-მინისტრის ეკონომიკურ საკითხებში მრჩევლის ფუნქციასაც.

ნიკოლ პაშინიანის მოწინააღმდეგეები მის მიერ ფორმირებულ მთავრობას იწუნებენ და აცხადებენ, რომ პაშინიანმა სომხეთის მთავრობა რუსოფობებით დააკომპლექტა, ერთ-ერთ მაგალითად კი აქციაზე ბაბკენ ტერ-გრიგორიანის ფოტო მოჰყავთ.

„პუტინ, წაეთრიე აქედან!“ – წერია პლაკატზე, რომელიც ტერ-გრიგორიანს აქციაზე ხელში უჭირავს.

ბაბკენ ტერ-გრიგორიანზე მნიშვნელოვანი პოსტი, ეროვნული უშიშროების საბჭოს ხელმძღვანელობა ჩაიბარა არმენ გრიგორიანმა, რომელიც ტრანსპარენსი ინტერნეიშენალის კოორდინატორი იყო.

სახელმწიფო კონტროლის სამსახური ჩაიბარა დავიდ სანასარიანმა, რომელიც პროდასავლური პარტია „მემკვიდრეობის“ წევრი იყო და ერთ-ერთ ყველაზე ანტირუს აქტივისტს წარმოადგენდა სომხეთში და მისი ხილვა ხშირად იყო შესაძლებელი რუსეთის საელჩოს წინ გამართულ საპროტესტო აქციებზე.

პირი, რომელსაც პაშინიანმა საარჩევნო კოდექსის ახალ ვერსიაზე მუშაობა დაავალა, დანიელ იოანისიანია, მისი არასამთავრობო ორგანიზაცია კი აქტიურად თანამშრომლობდა სოროსის ფონდთან და დემოკრატიის განვითარებაზე მომუშავე ამერიკულ და ევროპულ ფონდებთან.

სოციალური საკითხებისა და შრომის მინისტრად პაშინიანმა მანე ტანდილიანი დანიშნა, რომელსაც ამერიკულ კომპანიაში მუშაობის გამოცდილება აქვს და პროდასავლური პარტიის „განათლებული სომხეთის“ წევრია. ის და მისი პარტია თვლიან, რომ სომხეთის ევრაზიული კავშირიდან გამოსვლა ქვეყანას ახალ შესაძლებლობებს გაუხსნის და სომხური პროდუქცია ევროპულ ბაზარზე გავა.

**ნიუპოსტი**

# რუსი ჟურნალისტი არკადი ბაბჩენკო მკვდრეთით აღდგა!

## „ეს იყო მკვლელობის ინსცენირება რუსული სპეცსამსახურების გამოსავლენად“



29 მაისს საღამოს გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ კიევში ცნობილი რუსი ჟურნალისტი არკადი ბაბჩენკო მოკლეს.

მედია იუწყებოდა, რომ მას მისივე ბინის სადარბაზოში ესროლეს. ეს მაშინ მოხდა, როცა ჟურნალისტი პურის საყიდლად გავიდა. მკვლელი ბაბჩენკოს ზურგიდან მიეპარა და ესროლა. მძიმედ დაჭრილი ჟურნალისტი საავადმყოფოში მიყვანამდე სასწრაფო დახმარების მანქანაში გარდაიცვალა.

ბაბჩენკო 1977 წელს მოსკოვში დაიბადა. უმაღლესი იურიდიული განათლებაც იქვე მიიღო. მსახურობდა ჯარში. მონაწილეობდა ჩეჩნეთის პირველ ომში. მეორე ომისას ჯარში უკვე კონტრაქტით წავიდა. მსახურობდა ჯერ კავშირგაბმულობის ნაწილებში, შემდეგ – მოტომსროლელთა ბრიგადაში.

მიუხედავად უმაღლესი იურიდიული განათლებისა, მუშაობდა ჟურნალისტად. იყო გაზეთ „მოსკოვსკი კომსომოლეცის“ სამხედრო კორესპონდენტი. ამ რანგში რუსული არმიის მიერ სამხრეთ ოსეთის ოკუპაციაშიც მონაწილეობდა.

2012 წლამდე ბაბჩენკო პუტინის რეჟიმისადმი ლოიალობით გამოირჩეოდა, შემდეგ კი მას ოპოზიციაში ჩაუდგა. ამის გამო ერთხანს უმუშევარი დარჩა. თავს ტაქსის მძღოლობით ირჩენდა. შემდეგ „ნოვაია რუსსკაია გაზეტაში“ დაიწყო მუშაობა, თუმცა მალე იქაურობაც მიატოვა და კიევში გადაბარგდა.

ბაბჩენკო ჟურნალისტი მკვეთრი პროუკრაინული პოზიციით გამოირჩეოდა. ის წერდა, რომ რუსეთმა ყირიმი მიიტაცა, დონბასის ომი კი რუსეთის მიერ უკრაინის წინააღმდეგ განხორციელებულ აგრესიად შეაფასა. ბაბჩენკო ამხელდა რუსული სპეცსამსახურების ძირგამომთხრელ საქმიანობას უკრაინაში. მისი პუბლიკაციები გამოირჩეოდნენ სიმწვავით, მკვეთრად გამოხატული ანტიპუტინური, ანტიკრემლური მიმართულებით.

– ბაბჩენკოს ლიკვიდაციაც, სავარაუდოდ, რუსეთის სპეცსამსახურების ნახელავია, – განაცხადა უკრაინის პარლამენტის დეპუტატმა ანტონ გერაშჩენკომ.

გუშინ საღამოს კი გავრცელდა სენსაციური ინფორმაცია, რომ არკადი ბაბჩენკო ცოცხალია.

იგი უკრაინის უშიშროების სამსახურში გამართულ სპეციალურ ბრიფინგზე მივიდა, რომელზეც ისაუბრეს უკრაინის უშიშროების ოპერაციის შესახებ.

უშიშროების სამსახურის განცხადებით, ეს იყო მკვლელობის ინსცენირება-სპეცოპერაცია, რომელიც სპეცსამსახურებს დაეხმარა, გამოევლინა რუსეთის აგენტურული ქსელი და თავიდან აეცილებინა ცინიკური ოპერაცია, რომელიც ჟურნალისტის მკვლელობასა და მისი უკრაინისთვის გადაბრალებას ისახავდა მიზნად.

როგორც უკრაინის უშიშროების მინისტრმა ვასილი გრიცაკმა განაცხადა, მათ შეიტყვეს, რომ მზადდებოდა ბაბჩენკოს მკვლელობა და ამის თავიდან აცილება მოახერხეს.

– დაახლოებით სამი საათის წინ ჩვენ კიევში დავაკავეთ ამ დანაშაულის ორგანიზატორი. სწორედ ახლა მიმდინარეობს საგამოძიებო მოქმედებები მის მიმართ, ტარდება მისი სახლის ჩხრეკა, – განაცხადა გრიცაკმა.

ბრიფინგზე არკადი ბაბჩენკომ უკრაინის უშიშროებას მადლობა გადაუხადა მისი გადარჩენისთვის და ბოდიში მოუხადა ყველას, ვისაც მისი სიკვდილის ცნობამ გული დასწყვიტა.

# შტაინმაიერი კიევში ჩავიდა



გერმანიის პრეზიდენტი ფრანც-ვალტერ შტაინმაიერი კიევში ჩავიდა.

ის უკრაინის პრეზიდენტ პეტრო პოროშენკოს შეხვდა. მოლაპარაკებებისას ყურადღება დონბასზე, „ჩრდილოეთის ნაკად-2“-ზე და უკრაინაში დემოკრატიული რეფორმების აუცილებლობაზე გამახვილდა.

პრესკონფერენციაზე შტაინმაიერმა განაცხადა, რომ ევროპა შეშფოთებულია იმ ესკალაციით, რაც უკანასკნელ ხანს დონბასში შეინიშნება. გერმანიის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ მინსკის პროცესს ჯერჯერობით ალტერნატივა არ გააჩნია. ამიტომ ყველა მხარემ ეს უნდა გაითვალისწინოს.

– საიმისოდ, რომ მინსკის პროცესი თავის ლოგიკურ დასასრულამდე მივიდეს, დონბასში საერთაშორისო სამშვიდობო ჯარების ჩაყენებაა აუცილებელი, – თქვა გერმანიის პრეზიდენტმა.

რაც შეეხება „ჩრდილოეთის ნაკად-2“-ს, შტაინმაიერმა აღნიშნა, რომ ადამიანურად უკრაინის შეშფოთებისა კარგად ესმის, თუმცა ამას არავითარი საფუძველი არ გააჩნია. უკრაინის, როგორც სატრანზიტო ქვეყნის, სტატუსი შენარჩუნებული იქნება.

გერმანელი სტუმარი უკრაინაში დემოკრატიული რეფორმების გატარებასაც შეეხო. მან თქვა, რომ რეფორმები მტკივნეულია, მაგრამ მათი გატარება აუცილებელია, რადგან სხვაგვარად უკრაინა ევროპული ოჯახის წევრი ვერ გახდება.

პეტრო პოროშენკომ საპასუხო სიტყვაში შტაინმაიერს მადლობა გადაუხადა. მან ხაზი გაუსვა, რომ გერმანიის პრეზიდენტის ვიზიტი კიევში გერმანიის მიერ უკრაინისადმი მხარდაჭერის ნიშანია. პოროშენკომ გამოთქვა კმაყოფილება იმის გამო, რომ გერმანია დონბასში საერთაშორისო სამშვიდობო ძალების განთავსებას მხარს უჭერს.

– იმედი მაქვს, რომ დონბასში გაეროს სამშვიდობოები მალე ჩადგებიან. სისხლისღვრაც შეწყდება, – განაცხადა უკრაინის პრეზიდენტმა.

# ცსს: ფხენიანი ბირთვულ იარაღზე უარს არ იტყვის!




ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ანალიტიკოსები ჩრდილოეთ კორეის ბირთვული განიარაღების საკითხს სკეპტიკურად ეკიდებიან. ტრამპისგან განსხვავებით, ისინი თვლიან, რომ კიმ ჩენ ინი ბირთვულ იარაღზე უარს არავითარ შემთხვევაში არ იტყვის. მაქსიმუმი, რისი მიღწევაც ტრამპს შეუძლია, ისაა, რომ კიმ ჩენ ინმა ბირთვულ გამოცდებზე დროებით უარი განაცხადოს.

– გარკვეული დროის შემდეგ ბირთვული გამოცდები განახლდება. რაც შეეხება ჩრდილოეთ კორეის დენუკლეარიზაციას, ეს შეუძლებელია. კიმ ჩენ ინი ბირთვულ იარაღზე უარს არ იტყვის! – ამტკიცებენ ამერიკელი მზვერავები.

ამერიკის დაზვერვა ასევე სკეპტიკურადაა განწყობილი ჩრდილოეთ კორეაში ამერიკული ინვესტიციების მიმართაც. ამერიკელი მზვერავების აზრით, კიმ ჩენ ინი მხოლოდ მაკდონალდსის რესტორნების ქსელის გახსნას დაყაბულდება.

# თავდასხმას ლიეჟში ტერაქტის კვალიფიკაცია მისცეს




ქვეყნდება ახალ-ახალი ინფორმაციები ლიეჟში მომხდარი თავდასხმის შესახებ.

შეგახსენებთ, რომ დანით შეიარაღებული უცნობი მამაკაცი პოლიციელ ქალებს დაესხა თავს, მძიმედ დაჭრა, შემდეგ მათ რევოლვერებს დაეუფლა და ცეცხლი გახსნა. ერთ-ერთი ტყვია იქვე მანქანაში მჯდომ მამაკაცს მოხვდა და მოკლა. თავდამსხმელი კი ისროდა და გაჰყვიროდა: „ალაჰ აკბარ!“ მან კიდევ ორი მამაკაცი გამოასალმა სიცოცხლეს.

შემთხვევის ადგილას მოსულმა პოლიციელებმა საპასუხო ცეცხლი გახსნეს. თავდამსხმელიც იქვე მახლობლად მდებარე სკოლის შენობაში შევარდა და დამლაგებელი მძევლად აიყვანა. ორმხრივი სროლის შემდეგ მსროლელი ლიკვიდირებულ იქნა.

თავდამსხმელი 36 წლის ერმანი აღმოჩნდა. ის დიდი ხანი არაა, რაც გაათავისუფლეს ციხიდან, სადაც სასჯელს წვრილმანი დანაშაულისთვის იხდიდა. ჯერჯერობით არაა დადგენილი მისი კავშირი რომელიმე ტერორისტულ დაჯგუფებასთან. მიუხედავად ამისა, პროკურატურამ მომხდარს ტერაქტის კვალიფიკაცია მისცა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**


# განცხადებები

### სხვადასხვა

● შევიძენ ნახატ სურათებს, წიგნებს, ძველ ნივთებს. ტელ: 598-43-98-57.

● სილამაზის სალონს ესაჭიროება გამოცდილი ქალის სტილისტი, მანიკური/პედიკურის სპეციალისტი და კოსმეტოლოგი. მის. ბორჯომის ქ. 6 (დეზერტირების ბაზართან). ტელ: 597050903; 558153660.

● სტომატოლოგიური მომსახურეობა ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 130 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

### ჯანმრთელობა, მკურნალობა

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკობიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 150 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების თავიდან აცილება, ნერვული სისტემის და ღვიძლის პრობლემების ნორმალიზება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან. უკუჩვენების გარეშე. საუკეთესო შედეგით, ტელ: 599-25-44-14 ექიმი მზია, 218-48-99 (სამსახ.). მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● პოტენციის დაქვეითებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციების ნორმალიზება, პროსტატის ჯირკვლისა და შარდვის პროცესების მოწესრიგება, ბაქტერიულ-სოკოვან ინფექციათა საწინააღმდეგო მოქმედება იმუნიტეტის გაძლიერებით, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან უჯრედულ დონეზე. უკუჩვენების გარეშე. საუკეთესო შედეგით. ტელ: 595-293-299; 218-46-08 (სამსახ.) ექიმი ინგა. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-5 სმ-ის მომატებით ძვლის მკვებავი მინერალებისა და ვიტამინების ნაკრებით+ვარჯიშები. ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც, ასევე გახდომა 5-15 კგ თვეში რაციონის შეუცვლელად, მიღებული შედეგის შენარჩუნებით, სწრაფად და ეფექტურად. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (სამსახ). ექიმი სალომე. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● ძვლის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება – კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ართრიტის დროს. დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის ნორმალიზება მცენარეული საშუალებებით, საუკეთესო შედეგით. ტკივილისა და შებოჭილობის სინდრომის შემცირება უკუჩვენების გარეშე. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (სამსახ). ექიმი სალომე. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

# ლეანდრო რიბეირო: საქართველოში ცხოვრებაც მომწონს და თამაშიც

ეროვნული ლიგის ბომბარდირობისთვის რამდენიმე ფეხბურთელი იბრძვის, რომელთა შორისაც გორის დილას ბრაზილიელი ლეანდრო რიბეიროცაა.

23 წლის ბრაზილიელი დილას კარგად შეეწყო და ერთ-ერთ ლიდერადაც ჩამოყალიბდა. როგორია მისი შთაბეჭდილებები, რა მიზნები აქვს კარიერაში – ლეანდროს ამ და სხვა საინტერესო თემებზე ვესაუბრეთ.

***– დილაში რამდენიმეთვიანი პაუზის შემდეგ დაბრუნდით...***

– ამით ძალიან ბედნიერი ვარ. დილაში წინა სეზონის ნაწილი გავატარე, გუნდთან და ქართულ ფეხბურთთან ადაპტაციის გავლაც მოვასწარი და როცა დაბრუნების შესაძლებლობა გამოჩნდა, არ მიყოყმანია. მოხარული ვარ, რომ ეს გადაწყვეტილება მივიღე, მომწონს აქ თამაში და მზად ვარ ახალი გამოწვევებისთვის.

***– როგორ შეაფასებთ ისრაელში, მაკაბი ნეთანიაში გატარებულ პერიოდს?***

– როცა ისრაელში წავედი, მეგონა, ხშირად მომიწევდა თამაში, თუმცა ჩემი სტილი ვერ ჩაჯდა გუნდის ტაქტიკურ სქემაში, რის გამოც არ მეძლეოდა ბევრი დრო. მე კი თამაში მწყუროდა და ამიტომ მივიღე დილაში დაბრუნების გადაწყვეტილება.

***– როგორი ატმოსფეროა დილაში, როგორ შეეგუეთ საქართველოსა და ცხოვრების აქაურ წესს?***

– გუნდი ძალიან მეგობრულია, ბიჭები გვერდში მიდგანან და სირთულეების დაძლევაში მეხმარებიან. საქართველო კი საოცარი ქვეყანაა, აქ ცხოვრება ჩემთვის დიდი სიამოვნებაა.

***– გორში ცხოვრობთ თუ თბილისში? თავისუფალ დროს როგორ ატარებთ?***

– ვცხოვრობ თბილისში და როცა ვარჯიშები და თამაშები არ მაქვს, სულ დედაქალაქში ვარ. თავისუფალი დროის დიდ ნაწილს სახლში ვატარებ, ასევე მიყვარს საყიდლებზე სიარული.

***– რას იტყვით დილას სათამაშო სტილზე, როგორი გარემოა გორის სტადიონზე?***

– ჩვენი გუნდი სანახაობრივ ფეხბურთს თამაშობს, რაც ჩემთვის ძალიან სასიამოვნოა. გორში ბევრი გულშემატკივარი დადის სტადიონზე, გამარჯვების შემდეგ ძალიან გახარებულები არიან და მე, ისევე, როგორც გუნდის სხვა ფეხბურთელები, ბედნიერი ვარ მათთვის სიხარულის მინიჭებით. აქ ხალხისგან დიდ სითბოს ვგრძნობ და მაქსიმალურად ვცდილობ, ეს სიყვარული და ნდობა კარგი თამაშითა და გოლებით დავუფასო.

***– კმაყოფილი ხართ თუ არა იმ შედეგებით, რასაც დილა აღწევს მიმდინარე სეზონში?***

– როგორც უკვე ვთქვი, ჩვენ ვთამაშობთ სანახაობრივ და შემტევ ფეხბურთს. აუცილებლად უნდა გავაგრძელოთ ხარისხის გაუმჯობესება, რაც აუცილებლად აისახება სატურნირო ცხრილში – ნამდვილად გვაქვს ამის პოტენციალი. ამჟამინდელი მდგომარეობით კმაყოფილი ვარ, მაგრამ მიღწეულზე შეჩერება არ შეიძლება.

***– სეზონის წინ თუ წარმოიდგენდით, რომ დილას მთავარი ბომბარდირი იქნებოდით და ეროვნული ლიგის საუკეთესო მეგოლეობის შანსიც გექნებოდათ?***

– ყოველთვის ვცდილობ, მაქსიმუმი გავაკეთო გუნდისთვის. როდესაც გუნდი იგებს და ამაში ჩემი წვლილიცაა, ძალიან ბედნიერი ვარ. რაც შეეხება პირად მიღწევებს: პირველ რიგში, ვფიქრობ მხოლოდ გუნდის წარმატებაზე და თუ ბომბარდირიც გავხდები, რა თქმა უნდა, ბედნიერი ვიქნები.



***– ამ სეზონში ჩატარებული მატჩებიდან თქვენთვის რომელი იყო ყველაზე დასამახსოვრებელი?***

– უდავოდ, საბურთალოს წინააღმდეგ თამაში, რომელიც გორში სოლიდური სხვაობით, 4:1 მოვიგეთ. საბურთალო საქართველოს ჩემპიონატის გამორჩეული გუნდია და ტყუილად როდი ლიდერობს გათამაშებას. მის წინააღმდეგ ჰეთ-თრიქის შესრულება ორმაგად სასიხარულოა.

***– მიგაჩნიათ თუ არა დილა ჩემპიონობის კანდიდატად?***

– რატომაც არა?! თუმცა ამაზე საუბარი ჯერ ნაადრევია. საქართველოს ჩემპიონატში დიდი კონკურენციაა და ჩემპიონობის შანსი რამდენიმე გუნდს აქვს. ჯერ ჩემპიონატის ნახევარიც არ არის გასული და პროგნოზების გაკეთება რთულია. მთავარია, დილამ თავისი საუკეთესო თვისებები წარმოაჩინოს. საამისოდ მეც და ჩემს თანაგუნდელებსაც მაქსიმალური ძალისხმევა გვმართებს.

***– როგორია თქვენი სამომავლო გეგმები? დიდი ხნით აპირებთ საქართველოში დარჩენას?***

– ახლა მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ აქ ცხოვრებაც ძალიან მომწონს და თამაშიც. რა იქნება მომავალში, ამაზე საუბარი გამიჭირდება.

***– საქართველოს ჩემპიონატს როგორ დაახასიათებდით?***

– ნორმალური დონის ლიგაა. ამ ფორმატის ჩემპიონატისათვის ფიზიკური მომზადება ძალიან მნიშვნელოვანია.

***– ალბათ მოუთმენლად ელით მსოფლიოს ჩემპიონატს.***

– რა თქმა უნდა! თითოეული ბრაზილიელი ჩვენს ნაკრებს მთელი სულითა და გულით ქომაგობს. ობიექტურად რომ შევხედოთ, მიმაჩნია, რომ ბრაზილიის ნაკრები მსოფლიოში საუკეთესოა და მჯერა, ჩემპიონები ჩვენ გავხდებით.

# საქართველო მალტისთვის მზადებას განაგრძობს

საქართველოს ეროვნული ნაკრები ავსტრიაში ამხანაგური მატჩისთვის მზადებას განაგრძობს. საწვრთნელი შეკრების მეოთხე დღე მთავარმა მწვრთნელმა სრულად ტაქტიკურ ვარჯიშს დაუთმო.

მალტასთან შეხვედრისთვის დაბა ბად ჰარინგში 23 ქართველი ფეხბურთელი ემზადება. საქართველოს ნაკრების მომავალმა მეტოქემ, 29 მაისს ავსტრიაში ამხანაგური მატჩი სომხეთთან გამართა. შეხვედრა ქალაქ ვატენსში ფრედ 1:1 დასრულდა. მატჩს საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი ვლადიმირ ვაისი ესწრებოდა.

საქართველოსა და მალტის საფეხბურთო ნაკრებთა დაპირისპირება 1 ივნისს, ავსტრიის ქალაქ შვაცში ჩატარდება. თამაში თბილისის დროით 21 საათზე დაიწყება. მატჩის რეპორტაჟს საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი შემოგთავაზებთ.

როგორ ემზადება ნაკრები ამ მატჩისთვის და რა განწყობაზეა გუნდი, ამის შესახებ გურამ კაშია საუბრობს.

**გურამ კაშია:**

– საწვრთნელ შეკრებაზე ბევრი ახალი ფეხბურთელია, რაც, რა თქმა უნდა, სასიამოვნო და კარგია ახალგაზრდებისთვის, რომ მწვრთნელს აჩვენონ საკუთარი შესაძლებლობები. რადგან ამ ორი ამხანაგური მატჩის შემდეგ, მხოლოდ ოფიციალური თამაშები გვექნება. კარგია, რომ მწვრთნელი ახალგაზრდებს თავის გამოჩენის საშუალებას აძლევს. ამისთვის მათ აქვთ დრო, დაახლოებით ათდღიანი შეკრება გვაქვს, ასეთი საწვრთნელი შეკრებები ძალიან კარგია ჩვენი გუნდის თითოეული წევრისთვის. მზადება წარმატებით დავიწყეთ, კარგი სასტუმროა, ამინდიც შესაბამისი, გუნდში ამაღლებული განწყობაა, რადგან ბოლო ამხანაგურ თამაშებში კარგად ვითამაშეთ, დადებითი შედეგი გვქონდა და ხარისხიც კარგი იყო. პოზიტიური განწყობით ვართ და ამას გულშემატკივრებისგანაც ვგრძნობთ.

საქართველოს ნაკრების შემადგენლობა უახლოესი 2 ამხანაგური შეხვედრისთვის:

**მეკარეები:** გიორგი მაკარიძე (რიუ ავე, პორტუგალია), როინ კვასხვაძე (ტორპედო), ზაურ მახარაძე (ოლიმპიკი, უკრაინა);

**მცველები:** გურამ კაშია (ვიტესი, ჰოლანდია), ლევან გეგეჭკორი (რუსთავი) სოლომონ კვერკველია (ლოკომოტივი, რუსეთი), დავით ხოჭოლავა (შახტარი, უკრაინა), ლაშა დვალი (პოგონი, პოლონეთი), გიორგი ნავალოვსკი (სკა-ენერგია, რუსეთი), ლევან ხარაბაძე (დინამო თბ), ლაშა შერგელაშვილი (რიგასი, ლატვია);

**ნახევარმცველები:** გიორგი აბურჯანია (სევილია, ესპანეთი), ოთარ კიტეიშვილი (დინამო თბ), ვაკო გვილია (ლუცერნი, შვეიცარია), საბა ლობჟანიძე (რანდერსი, დანია), გიორგი ჩაკვეტაძე (გენტი, ბელგია), ვახტანგ ჭანტურიშვილი (სპარტაკი, სლოვაკეთი), ბექა ვაჩიბერაძე (რიგასი, ლატვია), გიორგი ხარაიშვილი (გიოტებორგი, შვედეთი), გიორგი ბერიძე (ტრენჩინი, სლოვაკეთი);

**თავდამსხმელები:** ნიკა კაჭარავა (კორონა, პოლონეთი), ბუდუ ზივზივაძე (დინამო თბ), ლადო დვალიშვილი (ჰაპოელ აშქელონი, ისრაელი);

ლუქსემბურგთან მატჩისთვის გუნდს შეუერთდებიან ჯაბა კანკავა, ნიკა კვეკვესკირი (ორივე ტობოლი, ყაზახეთი), ჯამბულ ჯიღაური (ორდაბასი, ყაზახეთი) და ბაჩანა არაბული (ბალმაზუივაროში, უნგრეთი).




# ბორჯღალოსნები ბარბაროსებით იწყებენ, შემადგენლობა ცნობილია

ივნისის ტესტების დაწყებამდე 10 დღით ადრე, ბორჯღალოსნები დღეს ფრანგ ბარბაროსებს დაუხვდებიან. მატჩი, 20 საათზე „დინამო არენაზე" დაიწყება და საქართველოს პირველი რესპუბლიკის შექმნიდან 100 წლის თავს ეძღვნება, ქართველ გულშემატკივარს ლამაზ და ლაღ სანახაობას პირდება.

ოკეანეთში გამგზავრებამდე ეს იქნება ერთგვარი გასახურებელი, მოსამზადებელი მატჩი. ჩვენი გუნდი კუნძულებისკენ გეზს 1 ივნისს, გამთენიისას აიღებს და ქომაგს კარგი სანახაობის გარდა, მათი გაცილების შესანიშნავი შესაძლებლობა ეძლევა. აღსანიშნავია, რომ ბოლო 3 წელიწადში, ეს იქნება პირველი შემთხვევა, როდესაც ბორლალოსნები დროის ამ მონაკვეთში საკუთარი გულშემატკივრების წინაშე ითამაშებენ.



რადგან თამაში არაოფიციალურია და მწვრთნელებს საქმეში რაც შეიძლება მეტი მორაგბის ხილვა სურთ, ჩვენს განაცხადში ორით მეტი, 25 მოთამაშეა. შემადგენლობა გამოცდილი და ახალგაზრდა მორაგბეების ნაზავს წარმოადგენს. არიან ისეთებიც, რომელთაც ბორჯღალოსანთა კვართით დიდი ხანია არ უთამაშიათ.

ზუსტად ერთწლიანი პაუზის შემდეგ, ნაკრებს უბრუნდება თამაზ მჭედლიძე, რომელიც ცენტრში ახალგაზრდა გიორგი კვესელაძეს შეეწყვილდება. ისევე, როგორც რაგბი ევროპის ბოლო ორ მატჩში, ფრთებზე სოსო მათიაშვილი და ანზორ სიჭინავა ითამაშებენ, ხოლო ფულბეკი ბორჯღალოსნების საუკეთესო მექულე მერაბ კვირიკაშვილია.

ღერძს ვასილ ლობჟანიძე და რეზი ჯინჭველაშვილი შეადგენენ, რომელმაც ბოლოს ამა წლის თებერვალში, ბელგიის წინააღმდეგ ითამაშა.

ხაზის მარქაფა შედარებით გამოცდილია – ლაშა ხმალაძე, სანდრო თოდუა, ბექა წიკლაური და ვაჟა ხუციშვილი. ხუციშვილმა ნაკრების კვართი ბოლოს 1 წლისა და 4 თვის წინ, რაგბი ევროპაზე ბელგიის ნაკრების წინააღმდეგ მოირგო.

კვაჭ შალვა მამუკაშვილს მხარში ბურჯები, გიორგი თეთრაშვილი და გიორგი მელიქიძე ამოუდგებიან. თეთრაშვილს ნაკრებში წელიწადზე მეტი, შარშანდელი რაგბი ევროპის შემდეგ არ უთამაშია, ხოლო მელიქიძე წლევანდელ რაგბი ევროპაზე ოთხჯერ შევიდა შეცვლაზე.

მეორე ხაზში გუნდის კაპიტან გიორგი ნემსაძეს ახალგაზრდა ოთარ გიორგაძე შეუწყვილდება, ხოლო მესამე ხაზი სრულად განახლებულია. შერკინების შემკვრელი მიხეილ გაჩეჩილაძეა, რომელმაც ნაკრებში წელს დაიმკვიდრა ადგილი და 5 კეპი მოიხვეჭა, ერთი ფლანკერი გურამ შენგელიაა, რომელსაც სანაკრებო დებიუტი წლევანდელ რაგბი ევროპაზე ბელგიასთან, რამდენიმე წუთით ჰქონდა, ხოლო მოკლე ფრთაზე გიორგი ცუცქირიძეს ვიხილავთ, რომელმაც ბოლოს გერმანიის წინააღმდეგ, შეცვლაზე ითამაშა.

თადარიგშია ბურჯი ირაკლი მირცხულავა, რომელმაც სანაკრებო მატჩი ბოლოს თითქმის 2 წლის წინ, სუვაში ფიჯის წინააღმდეგ ჩაატარა. მეორე ბურჯი ზურაბ ჟვანიაა, ხოლო კვაჭი გიორგი ჭყოიძეა.

მეორე ხაზში შეცვლაზე არიან შალვა სუთიაშვილი და ნოდარ ჭეიშვილი, მათგან პირველს მესამე ხაზშიც შეუძლია თამაში. შეცვლაზეა საბა შუბითიძე, რომელსაც ნაკრებში 2017 წლის რაგბი ევროპის ჩემპიონატის შემდეგ არ უთამაშია.

**ხაზი:** მერაბ კვირიკაშვილი, სოსო მათიაშვილი, გიორგი კვესელაძე, თამაზ მჭედლიძე, ანზორ სიჭინავა, რევაზ ჯინჭველაშვილი, ვასილ ლობჟანიძე;

**შერკინება:** გიორგი თეთრაშვილი, შალვა მამუკაშვილი, გიორგი მელიქიძე, ოთარ გიორგაძე, გიორგი ნემსაძე, გიორგი ცუცქირიძე, გურამ შენგელია, მიხეილ გაჩეჩილაძე;

**მარქაფა:** ბექა წიკლაური, სანდრო თოდუა, ლაშა ხმალაძე, ვაჟა ხუციშვილი, გიორგი ჭყოიძე, ზურაბ ჟვანია, ირაკლი მირცხულავა, ნოდარ ჭეიშვილი, შალვა სუთიაშვილი, საბა შუბითიძე.

# ტორპედოს სავარაუდო მეტოქეები ცნობილია

წელს უეფას ჩემპიონთა ლიგაზე საქართველოდან მონაწილეობას ქუთაისის ტორპედო მიიღებს. რიონისპირული კლუბი გათამაშებაში პირველი საკვალიფიკაციო ეტაპიდან ჩაერთვება. უკვე ცნობილია ყველა სავარაუდო მეტოქე, რომელიც იმერულ გუნდს შესაძლოა შეხვდეს:

ლუდოგორეცი (ბულგარეთი); სელტიკი (შოტლანდია); აპოელი (კვიპროსი); ლეგია (პოლონეთი); ასტანა (ყაზახეთი); ყარაბაღი (აზერბაიჯანი); შერიფი (მოლდოვა); მალმიო (შვედეთი); ცრვენა ზვეზდა (სერბეთი); ჰაპოელ ბერ შევა (ისრაელი); რუსენბორგი (ნორვეგია); ჰიკ (ფინეთი); ნიუ საინტსი (უელსი); ვიდეოტონი (უნგრეთი); კუკესი (ალბანეთი); ზრინსკი (ბოსნია).

ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის კენჭისყრა 19 ივნისს გაიმართება და ტორპედოს უშუალო მეტოქეც იქ გაირკვევა.

## შედეგები

**29 მაისი**

**ფეხბურთი**

**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| აშშ-ბოლივია | 3:0 |
| მექსიკა-უელსი | 0:0 |
| აზერბაიჯანი-ყირგიზეთი | 3:0 |
| სომხეთი-მალტა | 1:1 |
| კოსოვო-ალბანეთი | 3:0 |

**ამხანაგური მატჩები (21)**

| | |
|---|---|
| საფრანგეთი-იტალია | 1:1 |
| ესტონეთი-ლიეტუვა | 1:1 |
| მექსიკა-ინგლისი | 0:0 |
| სლოვენია-საბერძნეთი | 3:1 |

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა**

| | |
|---|---|
| ჰიკი-სეინეიოკი | 4:0 |

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# ტოჩინოშინს ოძეკის წოდება მიენიჭა



სუმოს ასოციაციის დირექტორთა საბჭომ ქართველ გოლიათს, ლევან გორგაძეს, იგივე ტოჩინოშინს, ოძეკის წოდება მიანიჭა.

დენტაცუშიკის რიტუალი ტოკიოში, ლევანის კლუბ კასუგანოში შედგა, სადაც სუმოს ასოციაციის წევრები სტუმრობდნენ. ლევანს, კლუბის პრეზიდენტის თანხლებით, სუმოს ასოციაციის დადგენილება გააცნეს, რის მიხედვითაც, ტოჩინოშინი ოძეკის ტიტულის მფლობელია.

ლევანმა ტიტულის მისაღებად ფიცი წარმოთქვა და პირობა დადო, რომ ღირსეულად დაიცავს აღნიშნულ წოდებას.

ლევან გორგაძე რიკიშის გზას 12 წლის წინ შეუყვა. ორი წლის შემდეგ მცხეთის რაიონის სოფელ ძეგვის მკვიდრი, უმაღლეს დივიონში, მაკუუჩიში გადავიდა.

2013 წლის ივლისში ლევანმა მძიმე ტრავმა მიიღო, ჯვარედინი მყესები გაიწყვიტა, რის გამოც რამდენიმე ბაშოს გამოტოვებაც მოუხდა და ელიტაში ადგილი დაკარგა.

მწყობრში 8 თვის შემდეგ ჩადგა. ლევანმა ზედიზედ ორი ტურნირი მოიგო რანგით მესამე, მაკუშიტას დივიზიონში, ზედიზედ ორი მოგება მიაყოლა რანგით მეორე დივიზიონ ძურიოში. 2014 წლის ბოლოს ტოჩინოშინი მაკუუჩის დაუბრუნდა, ხოლო 2016 წლის ზაფხულში სუმოს იერარქიაში მესამე საფეხურს, სეკივაკეს უწია.

მიმდინარე წელს 30 წლის გოლიათი დიდი ჩემპიონების დარ სუმოს გვიჩვენებს. 2018 წელს ლევანმა 37 გამარჯვება მოიპოვა და მხოლოდ 8 დათმო (აქედან რამდენიმე ტრავმირებულმა). იანვარში კი სულაც იმპერატორის თასი მოიგო, მაისში კი ძალიან ცოტა დააკლდა იგივე შედეგის გამეორებისთვის.

ახლა წინ მხოლოდ იოკუძუნას ტიტულია, რომელიც ავტომატურად მიენიჭება ოძეკობიდან ზედიზედ ორი ბაშოს გამარჯვების შემთხვევაში, ანაც მისთვის დაწესებული შედეგის გამო.

# თბილისის დინამოში ესპანელები ისინჯებიან

გუშინ თბილისის დინამომ მორიგი ვარჯიში გამართა და გუნდთან ერთად ორი ახალწვეულიც იყო. დინამოში სინჯებზე ესპანელი ფეხბურთელები იმყოფებიან – ბორის გაროსი ტორენტი და ალექ კიერემი.

29 წლის გაროსი 186 სანტიმეტრი სიმაღლის თავდამსხმელია, ბოლოს სეგუნდა დივიზიონის უელვაში თამაშობდა და 37 მატჩში 10 გოლი შეაგდო. გასულ სეზონში საფეხბურთო კლუბ გავაში 38 მატჩი 25 გოლიც გაუტანია.

კიერემი 22 წლის არის, წარმოშობით განელი, მაგრამ ესპანეთის მოქალაქე. ამპლუით ნახევარმცველი. ბოლოს გავაში ირიცხებოდა, მანამდე ალბასეტეს შემადგენლობაში აქვს ნათამაშები. 2016-17 წლის სეზონის შემდეგ არსად უთამაშია. გავას შემადგენლობაში კი 9 მატჩი ჩაატარა და თავი ერთხელ გამოიჩინა.

ხვალ დინამოში კიდევ ერთ ესპანელს ელოდებიან – 25 წლის კარლეს მასი მცველია და საფეხბურთო კლუბ ხირონას აღზრდილი. ბოლოს ისიც გავაში თამაშობდა და 35 მატჩში მიიღო მონაწილეობა.

# შერმადინი საუკეთესო იყო, თუმცა ნახევარფინალში შენგელიას ბასკონია გავიდა



თორნიკე შენგელია ესპანეთის ჩემპიონატის ნახევარფინალშია. მისმა ბასკონიამ მეოთხედფინალური სერიის მეორე მატჩში სტუმრად, მალაგაში, გიორგი შერმადინის უნიკახა 80:64 დაამარცხა და სერია საერთო ანგარიშით – 2:0 მოიგო.

ორივე ქართველი კალათბურთელი სასტარტო ხუთეულში იყო. ეს შერმადინისთვის პირველი სასტარტო გახლდათ ორთვიანი ტრავმიანობის შემდეგ. ქართველმა ცენტრმა შედეგიანად ითამაშა – 20 წუთში 11 ქულა, 4 მოხსნა (2 შეტევაში), 1 პასი და 1 ჩაჭრა მიითვალა. გიორგიმ სამივე ორქულიანი და ხუთივე საჯარიმო ჩააგდო.

შერმადინის საერთო სარგებლიანობის კოეფიციენტმა 18 შეადგინა და ეს, კარლოს სუარესის (8 ქულა, 6 მოხსნა, 4 პასი) მსგავსად, მასპინძელთა რიგებში საუკეთესო მაჩვენებელი იყო. სარგებლიანად გაისარჯა შენგელიაც, რომელმაც 18 წუთში 8 ქულა, 6 მოხსნა (2 შეტევაში), 2 პასი და 1 ჩაჭრა მოაგროვა. თორნიკემ 8-დან 4 ორქულიანი ჩააგდო, 1 საჯარიმო ააცილა.

ბასკონია ნახევარფინალში ბარსელონა-ანდორას შორის გამარჯვებულს შეხვდება. სერიას ბექა ბურჯანაძის გუნდი იგებს, რომელმაც კატალონიაში გაანადგურა ფავორიტად მიჩნეული ბარსელონა.

საპასუხო მატჩი ანდორაში გაიმართება.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# მეხანძრეებმა ღობეში გაჭედილი თახვი გადაარჩინეს

ამერიკის აიდაჰოს შტატის ქალაქ იგლში მეხანძრეებმა რკინის ღობეში გაჭედილი თახვი გაათავისუფლეს.



ცხოველი ლითონის გისოსებს შორის გაძრომას ცდილობდა. მან ნახევრამდე შეძლო გაძრომა, მაგრამ შემდეგ გაიჭედა. დილით ასეთ მდგომარეობაში მყოფი ცხოველი ადგილობრივმა მცხოვრებმა აღმოაჩინა. მან დასახმარებლად სახანძროში დარეკა.

გამოძახებულმა მეხანძრეებმა საგანგებო მოწყობილობების დახმარებით გისოსები გასწიეს და ცხოველი ღობის მეორე მხარეს გაიყვანეს. ამისთვის მათ რამდენიმე საათი დასჭირდათ. მთელი ამ ხნის მანძილზე თახვი უკმაყოფილოდ ბურტყუნებდა.

– როდესაც ის მეორე მხარეს გავიდა, შემოტრიალდა და საკუთარ კუდზე წამოსკუპდა. ის უბრალოდ იჯდა და გვიყურებდა, – განაცხადა ერთ-ერთმა მეხანძრემ.

# მკვდარმა უცნობმა ცხოველმა ზოოლოგებს თავგზა აუბნია

ამოუცნობი ცხოველი იქნა აღმოჩენილი და მოკლული ამერიკის მონტანას შტატის ქალაქ დენტონში. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ველური ბუნების სპეციალისტებმა ჯერ ვერ მოახერხეს იმის დადგენა, თუ რა ცხოველთან აქვთ საქმე.



ინციდენტი ერთ-ერთ რანჩოზე რამდენიმე დღის წინ მოხდა. ცხოველს ჰქონდა ნაცრისფერი შეფერილობის გრძელი ბეწვი, დიდი თავი და წაგრძელებული სახე. ის წააგავდა მგელს, მაგრამ ყურები არატიპიურად დიდი ჰქონდა, ხოლო თათები და სხეული მეტისმეტად პატარა.

– ჩვენ არ ვიცით, თუ რა არსებასთან გვაქვს საქმე. უნდა დაველოდოთ დნმ-ის ანალიზის შედეგებს, – განაცხადა ველური ბუნების დაცვის ადგილობრივი ცენტრის თანამშრომელმა.

მოკლული ცხოველის ფოტოსურათებმა აჟიოტაჟი გამოიწვია ადგილობრივ მოსახლეობაში. სოციალურ ქსელებში ისინი სხვადასხვა თვალსაზრისს გამოთქვამენ: ერთნი დარწმუნებულნი არიან, რომ ეს უბრალოდ გრიზლის ნაშიერია, სხვები კი ფიქრობენ, რომ ეს შესაძლოა ქალაქის ლეგენდების გმირი დოგმანია – წელგამართულად მოსიარულე ადამიანი–ძაღლი.

კიდევ ერთმა ადგილობრივმა სპეციალისტმა ტაი სმაკერმა, რომელიც მგლებზე დაკვირვებითაცაა დაკავებული, ვარაუდი გამოთქვა, რომ ის შესაძლოა მგლის და ძაღლის ჰიბრიდი იყოს. მისი მტკიცებით, მას პირადად ჰქონია შეხება მსგავს არსებებთან.

ამ დროისთვის ცხოველს მონტანას შტატის ველური ბუნების დაცვის ცენტრის თანამშრომლები სწავლობენ.

# მშობლებმა უმუშევარი შვილი სასამართლოს ძალით გაასახლეს

აშშ-ში მშობლებმა სასამართლოს ძალით აიძულეს თავიანთი 30 წლის უმუშევარი შვილი, რომ მათი სახლი დაეტოვებინა.

მაიკლ როტონდო მშობლებთან 22 წლის ასაკში დაბრუნდა და მას შემდეგ მუდმივად მათთან ცხოვრობდა. ამ ხნის მანძილზე მათ ბევრჯერ უსაუბრიათ. მშობლები ეუბნებოდნენ, რომ მას სამსახური უნდა ეშოვა, რამდენჯერმე შესთავაზეს ფულის მიცემა ახალი საცხოვრებლის მოსაძებნად და ხუთჯერ გაუგზავნეს ადვოკატის ხელით უწყება გასახლების თაობაზე.

– გაყიდე უსარგებლო ნივთები, მაგალითად, მუსიკალური ცენტრი და ზოგიერთი ინსტრუმენტი, შენ ფული გჭირდება და ადგილიც გაგითავისუფლდება. გამოუცდელი ადამიანებისთვისაც კი არსებობს ვაკანსიები, იქ მოეწყვე, უნდა იმუშაო, – ნათქვამია მშობლების მიერ მისთვის გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში.



ნიუ-იორკის უზენაესი სასამართლოს განაჩენის მოსმენის შემდეგ როტონდომ აღნიშნა, რომ აღსრულების ნახევარწლიან გადავადებას ითხოვდა, მაგრამ უარი ეთქვა. მისი თქმით, მისგან არავის ელოდებოდა საოჯახო საქმიანობაში დახმარებას და ამიტომ ფიქრობდა, რომ ასეთი ვითარება ყველას აწყობდა. მისივე მტკიცებით, მას საკუთარი ბიზნესი აქვს, თუმცა რომელ ბიზნესზეა საუბარი, ამის დაზუსტებაზე უარი განაცხადა.

# ფერმერები ბანდიტებს მანქანებით და შვეულმფრენით დაედევნენ

ავსტრალიის კვინსლენდის ქალაქ დირანბანდიში ფერმერები შეიარაღებული ბანდიტების დევნაში ჩაერთვნენ.

ორმა ეჭვმიტანილმა, რომლებიც ახალი სამხრეთ უელსის შტატში დააკავეს, გაქცევა მოახერხა. გაირკვა, რომ მათ მოიპარეს იარაღი, გატაცებული ავტომობილით გადაკვეთეს შტატის საზღვარი და კვინსლენდში აღმოჩნდნენ.

დირანბანდის მცხოვრებლებმა გადაწყვიტეს გაქცეულების ძებნაში მიეღოთ მონაწილეობა. პოლიციის დასახმა-



რებლად ათამდე ფერმერი გამოვიდა სატვირთო მანქანებით, პიკაპებით და სხვა სატრანსპორტო საშუალებებით. გარდა ამისა, ძებნაში ჩაერთო შვეულმფრენიც, რომელსაც ჩვეულებრივ ნათესების შესაწამლად იყენებენ.

ბანდიტებმა პოლიციელებისგან თავის დაღწევა მოახერხეს, მაგრამ მათ ქალაქის მახლობლად კაბი-სტეიშნის ბამბის ფერმის მახლობლად მიაგნეს. როდესაც მიწათმფლობელები მათ გაეკიდნენ, ისინი შეეცადნენ მათგან თავი ღობეების განგრევით დაეღწიათ. მათი ავტომობილი გაიჭედა, მაგრამ მათ იარაღის მუქარით მაინც მოახერხეს მდევრისგან გაქცევა და მიმალვა.

მეორე დღეს ერთ-ერთი დამნაშავე შვეულმფრენიდან შენიშნეს, ამის შემდეგ ის დააპატიმრეს. მისი თანამზრახველი კი ჯერ არ უპოვიათ. პოლიციაში ვარაუდობენ, რომ ის ახალ სამხრეთ უელსში დაბრუნდა.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# ასტროპროგნოზი

## 31 მაისისათვის



**ვერძი** – აქტიური და შემოქმედებითი დღეა. მატერიალური მდგომარეობა გიუმჯობესდებათ. დიდი ყურადღებით მოეკიდეთ ფინანსებს. **კურო** – ფინანსური მდგომარეობა საგრძნობლად გიუმჯობესდებათ, რაც, შესაძლოა, მოულოდნელმა მივლინებამ განაპირობოს. **ტყუპები** – დიდი დატვირთვა გელით როგორც ფიზიკურად, ისე – ემოციურად. საქმიან ქაღალდებს ხელს ნუ მოაწერთ. **კირჩხიბი** – ფინანსებს გაუფრთხილდით. გელით გაუთვალისწინებელი ხარჯები. თქვენი შესაძლებლობები კარგად გათვალეთ. **ლომი** – საკუთარი ძალებისადმი იმედგაცრუებაა მოსალოდნელი. ნუ დაივიწყებთ ადამიანებს, რომლებიც ერთ დროს წარმატების მიღწევაში დაგეხმარნენ. **ქალწული** – იმპულსურობა საქმეს გააფუჭებს. დღეს საოჯახო და პირადი პრობლემების მოგვარება მოგიწევთ. **სასწორი** – თუ პარტნიორებმა ახალი საქმე შემოგთავაზეს, მაშინვე ნუ დათანხმდებით. შედეგი გაურკვეველი იქნება. **ღრიანკალი** – დათრგუნავთ შიშსა და ეჭვებს. შესაძლოა, საქმიანი და თქვენთვის ხელსაყრელი წინადადება მიიღოთ. **მშვილდოსანი** – თქვენს ფსიქოემოციურ მდგომარეობას ძალზე წაადგება ქალაქგარეთ გასვლა, სუფთა ჰაერზე სეირნობა, ბაღში მუშაობა. ინტიმურ საკითხებზე ყურადღების გამახვილება არ ღირს. **თხის რქა** – ნუ იქნებით მეტისმეტად კატეგორიული. წინდაუხედაობის გამო, შესაძლოა, დიდი პრობლემები შეგექმნათ. **მერწყული** – პროფესიულ საქმიანობაში წარმატებას მიაღწევთ. ამაში პასუხისმგებლობის გრძნობა და ორგანიზატორული ნიჭიც დაგეხმარებათ. **თევზები** – სახიფათო და კრიტიკული დღეა. იფრთხილეთ, დიდია ტრავმების მიღების ალბათობა. რისკი გაუმართლებელია.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ





**შვეულად:** 1. იაპონური იეროგლიფების სახელწოდება; 2. ვოინიჩის რომანი; 3. იაპონიაში განთავსებული მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ატომური ელექტროსადგური; 4. ქლიავის ერთ-ერთი ჯიში; 8. შავი ფერის ალმასი; 9. სოკოების შემსწავლელი მეცნიერება; 11. ოქროს ფერში ამოვლებული ძაფი; 12. კომბინაცია პოკერში; 14. მადნიდან ლითონის გამოდნობის შემდეგ დარჩენილი ნარჩენები; 16. მდინარე თბილისში; 17. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 19. შეძლებული გლეხის სახელწოდება 20-იანი წლების საბჭოთა კავშირში; 21. მრავალჯერადი გამოყენების ამერიკული კოსმოსური ხომალდი.

**თარაზულად:** 5. სვანური ციხე-კოშკი; 6. ბუნებრივი ნაკრძალი იმერეთში; 7. ლუდსახარში საქართველოში; 10. ქიმიური ელემენტი, ძალზე მტკიცე ლითონი; 13. პატარა ფლეიტა; 15. გულის მოქმედების ნორმალური რიტმის დარღვევა; 18. ქართული სადაზღვევო კომპანია; 20. დეტექტიური ჟანრის ბრიტანელი მწერალი ქალი; 22. უბანი ქუთაისში; 23. კოსმოდრომი რუსეთში; 24. სამონასტრო კომპლექსი კახეთში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

### კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. აბზინდა; 2. ფესახი; 3. ესმერალდა; 4. ჩითილი; 5. სარკაზმი; 7. „ბატე“; 11. დრენაჟი; 13. ლოსიონი; 15. ყანწი; 16. კუსტო; 18. ოპუსი; 19. კოპრა.

**თარაზულად**: 6. ბომბეი; 8. მენისკი; 9. თითბერი; 10. ნერეიდა; 12. გინზა; 14. შირაზი; 17. დისკოთეკა; 20. ვიადუკი; 21. მწყერი; 22. სიურტე; 23. შორაპანი.

### კროსვორდი ბ

**შვეულად**: 1. ტრიუკი; 2. „იზაბელა“; 3. ბერგმანი; 4. ტრიგლიტი; 8. გალაქტიკა; 9. კარიატიდა; 11. ლუტეცია; 12. ცემი; 14. ჯინი; 16. მოთხრობა; 17. „მუკუზანი“; 19. მანილა; 21. „ჩელსი“.

**თარაზულად**: 5. სელექცია; 6. „ხანჯლური“; 7. ბუკმეკერი; 10. შალახო; 13. ხარატი; 15. ამნეზია; 18. ტონიკი; 20. ფადიკო; 22. „შინჰოფერი“; 23. აბრსკილი; 24. ასათიანი.

# კონსტანტინე კარანაძე: „პროექტმა მოლოდინს ნამდვილად გადააჭარბა“

22 წლის მომღერალი კონსტანტინე კარანაძე მუსიკალური შოუ „მხოლოდ ქართულის“ ყველაზე განსხვავებული წევრია. მისი ჩაცმულობის, ვარცხნილობის თუ სიმღერის მანერა ყოველთვის განსჯის საგანია.

„მხოლოდ ქართულის“ კონკურსანტები კონსტანტინეს ყველაზე მხიარულ, არაორდინალურ, მეგობრულ და დადებით პიროვნებად ახასიათებენ.

**კონსტანტინე კარანაძე:**

– პროექტში მოსვლის ისტორია მარტივია. საერთოდ არ ვაპირებდი გამოსვლას, იმიტომ, რომ მე არანაირი მუსიკალური განათლება არ მაქვს. არსად არაფერი არ მისწავლია, სულ ჩემით, სახლში რაღაცას ვჩხლირთიბირთობდი. მე თვითონ უცხოურ ენაზე ვწერ სიმღერებს და გაზრდილი ვარ სხვა ტიპის, გემოვნების და ჟღერადობის მუსიკაზე. თუმცა ბებიამ მითხრა, მე გავიზარდე სამაგიეროდ ქართულ სიმღერებზეო და „ბრახვაან“ მითაქა კეფაში. 2 დღე იყო თბილისში ქასთინგები. მეორე დღის 4 საათამდე მეძინა და გამომაგდო, სახლში არ შემოგიშვებო, დროზე გადიო! და ჰე... ქე მოვედი...



***– როგორი აღმოჩნდა თქვენთვის პროექტი?***

– პროექტმა მოლოდინს ნამდვილად გადააჭარბა. ემოცია მაქვს – იფ, იფ, რამდენიც გინდათ და როგორიც გინდათ. ვფიქრობ, ეს პროექტი ახალი სიტყვაა მთელს ტელესივრცეში და ისტორიაში, რადგან არის მხოლოდ ქართული და ყველაზე სწორ დროს გაკეთებული.

***– რა გსურთ უთხრათ მსმენელს?***

– მსმენელს ვეტყვი, რომ ვარ „გაგანია ტარტაროზი“ ბიჭი. ფრიად ზარმაცგიგლა, ყოვლად მოუსვენარი, მაიმუნი, „შაყენოი“ ადამიანი. ამბობენ, რომ პოზიტიური ვარ. არ ვიცი, უბრალოდ არ მიყვარს ცუდ ხასიათზე მყოფი ადამიანი. ამიტომ ვიქცევი ხოლმე ცანცოდ, ცანცარად და ვართობ. გამორჩეულობას კიდევ რაც შეეხება, ვფიქრობ, ყველაფრით გამორჩეული ვარ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ კარგია ეგ და კარგი ვარ. უბრალოდ რაღაცნაირად ვგრძნობ თავს, როცა ზოგჯერ სხვადასხვა ფერის წინდა მაცვია ან „ბულავკა“ მაქვს შარვალზე დამაგრებული ან შარვალი უკუღმა მაცვია. ნუ, საყურეს და გრძელ თმას არ ვთვლი და საერთოდაც, რაღაცნაირად ვმღერი და ჩემებურად მესმის მუსიკა. მოკლედ, ერთი ჩვეულებრივი ქართველი ბიჭი ვარ, რა. სიმღერებზეც ეგრეა, არც ერთის ტექსტი არ ვიცი წესიერად.

***– სიმღერის გარდა რა გიყვართ?***

– მიყვარს ფეხბურთი, კალათბურთი, ნებისმიერი სპორტი, ფილმების ყურება, სირბილი და ფოტოების გადაღება.

# ხანდოს ეკლესიას კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი მიენიჭა

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ ხანდოში მდებარე X საუკუნის ეკლესიას კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დირექტორის, ნიკოლოზ ანთიძის, შესაბამისი ბრძანებით კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი მიენიჭა.



ეკლესია დარბაზული ნაგებობაა, ერთიანი დაუნაწევრებელი გარშემოსავლელით დასავლეთიდან და სამხრეთიდან. პერანგი კარგად ნათალი კვადრებითაა ნაწყობი. აღმოსავლეთის, დასავლეთისა და სამხრეთის კედლებში თითო თაღოვანი სარკმელია, რომლის თავსართები ჯვრის გამოსახულებებითაა შემკული. შესასვლელი სამხრეთ და დასავლეთ კედელშია. დასავლეთის კარი ღერძიდან ჩრდილოეთისკენაა გაწეული. აღმოსავლეთით ნახევარწრიული დარბაზისგან მხრებით გამოყოფილი აბსიდია, რომლის კონქი მხრების პროფილირებულ კაპიტელებზე გადასულ თაღს ეყრდნობა. ჩრდილოეთის კედელს ძირში საფეხური გასდევს. გრძივი კედლები თითო წყვილი პილასტრითაა გაყოფილი. პილასტრები სადა პროფილირებული კაპიტელებით სრულდება, მათზე კამარის საბჯენი თაღი გადადის. საკურთხეველში, სარკმლის ძირში ქვის ტრაპეზია. საკურთხევლის წინ, დარბაზში კვარცხლბეკზე აღმართული ქვის დიდი ქვაჯვარია. ეკლესია შელესილია. საუკუნის დასაწყისში ჯერ კიდევ იკითხებოდა მხატვრობის ფრაგმენტები.

გარშემოსავლელის დასავლეთი ნაწილი ყრუ ტალანია, რომელიც დასავლეთის კედელში გაჭრილი ერთი სარკმლით ნათდება. ჩრდილოეთის კედელს აქაც ხარისხი აქვს, რომელზეც ქვის სტელის ნაწილებია დალაგებული. გადახურვა ცალფერდაა. დაქანებული. გარშემოსავლელის სამხრეთის ნაწილი ორი თაღით გახსნილი გალერეაა. აღმოსავლეთით უაბსიდოა. ჩრდილოეთის მხარეს, ტაძრის კედელზე თაღნარია გაკეთებული, რომელიც ამავე დროს გარშემოსავლელის კამარის საბჯენია. აღმოსავლეთ კედელთან აქაც ქვაჯვარი დგას. ტაძარში იატაკი ქვისფილებითაა მოგებული.

გარშემოსავლელის სამხრეთ კედელზე, თაღის გვერდით ჩასმულია ასომთავრულით შესრულებული წარწერა: „ქრისტე, შეიწყალე სამხარაი“.

ხანდოს ეკლესიას ერთგვარ უნიკალურობას სძენს დარბაზში აღმართული ქვაჯვარა, რომელიც, როგორც ჩანს, იდგა და შემდეგ სწორედ მასზე ააშენეს ეკლესია. მასზეა მორგებული ეკლესიის დასავლეთის კარიც. ხანდოს ეკლესიას გააჩნია ძეგლის შემდეგი მახასიათებლები: სიძველე, არქიტექტურული ფორმა და დეტალები, კაპიტელები, თაღნარები, თაღოვანი სარკმლები, თაღით გახსნილი გარშემოსავლელი, პალეოგრაფიული ნიმუში, სალოცავის განსხვავებული ტიპი, ქვაჯვარა და სვეტების ნაწილები.

# ანსამბლი „მართვე“ 40 წლისაა



ანსამბლი „მართვე“ 40 წლისაა. ამ თარიღთან დაკავშირებით, 31 მაისს არტოს ბაღში, რომელიც ანსამბლების „რუსთავის“ და „მართვეს“ ოფისია, იმპროვიზებული კონცერტი გაიმართება.

„მართვესთან ერთად“ – ასეთია ღონისძიების სახელწოდება და მასში მონაწილეობას მიიღებენ სტუდია „მართვეს“ აღსაზრდელები, წარმოდგენილი იქნება თეატრი, მხატვრული კითხვა, ხალხური სიმღერა და ცეკვა... მათთან ერთად კონცერტში ჩაერთვებიან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები და მოზარდები. პროექტი-პლენერი განხორციელდება უნიკალური ბაღის ტერიტორიაზე და მასში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებიც წარმოადგენენ საკუთარ შემოქმედებას.

ეს კონცერტი „მართვესთან ერთად“ პირველია ამგვარი პროექტების სერიიდან და იგი მომავალში აუცილებლად გაგრძელდება.

# „ექვთიმეს“ შემქმნელები ახალ ფილმზე მუშაობენ

ექვთიმე თაყაიშვილზე შექმნილი ფილმის შემდეგ, რეჟისორმა ნიკოლოზ ხომასურიძემ და მისმა შემოქმედებითმა ჯგუფმა ახალ ფილმზე დაიწყო მუშაობა.



„საქართველო“ – ასე ჰქვია ახალ მხატვრულ ფილმს, რომელიც მიუზიკლის ჟანრის იქნება და ის ქართულ ცეკვას, სიმღერას და ღვინის ისტორიას მიეძღვნება.

**ნიკოლოზ ხომასურიძე:**

– დავიწყეთ დიდი სიახლე და გელოდებით ყველა ნიჭიერს საქართველოდან. შეგიძლიათ გაუზიაროთ თქვენს ახლობლებსაც, რომ ყველამ გაიგოს „ვინა ვართ, რა ვართ, საიდან მოველთ, ან საით წავალთ!“

მიუზიკლის ჟანრის მხატვრული ფილმის „საქართველო“-ს ქასთინგში მონაწილეობის მისაღებად მოცეკვავეებმა, მომღერლებმა და მსახიობებმა თქვენი ფოტო და ვიდეო მასალა, სახელი, გვარი და საკონტაქტო ნომერი უნდა გამოგზავნოთ. ქასთინგის დღეების ზუსტ განრიგს სხვადასხვა ქალაქებში შეგატყობინებთ რამდენიმე დღეში.

# ხელოვნების სასახლეს 192 კინოაფიშა გადაეცა

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნულმა ცენტრმა ხელოვნების სასახლეს მუზეუმში ელექტობაზების გაუმჯობესების მიზნით 192 ცალი კინოაფიშა გადასცა.

კინოაფიშებთან ერთად ხელოვნების სასახლეს გადაეცა ქართველი კინორეჟისორების ლევან თუთბერიძის, ზაზა ხალვაშის, გიორგი ოვაშვილის, რეზო ესაძის, თაკო შავგულიძის, ოთარ შამათავას, რეზო ესაძის, თინათინ ყაჯრიშვილისა და თორნიკე ბზიავას მიერ გადმოცემული მასალები.

კინოს, მუსიკის, თეატრისა და ქორეოგრაფიის მუზეუმში დაიდებს ბინას საავტორო ფილმების სცენარი, სამუშაო გეგმა, რეჟისორის ხედვა, კადრირება და ფოტოები ისეთი ფილმებისა, როგორიცაა „ცხრა მთას იქით“, „ნამე“, „ხიბულა“, „წისქვილი ქალაქის გარეუბანში“, „საქართველოში დაბადებულნი“, „ურსუსი“, „ჭერი“, „პატარძლები“, „ბუდე“.

# საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლის იუბილეს ქართველი ვარსკვლავები კარნეგი ჰოლში აღნიშნავენ

18 ივლისს ნიუ იორკში ჩატარდება ქართველი ხელოვანების ერთობლივი კონცერტი, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლის იუბილეს მიეძღვნება.




კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ სოპრანო ნინო მაჩაიძე, ბარიტონი გიორგი გაგნიძე, ტენორი შალვა მუქერია, პიანისტი ელისო ბოლქვაძე და მომღერალი ნუცა შანშიაშვილი. ისინი მსოფლიოს საუკეთესო დარბაზში კარნეგი ჰოლში ერთობლივ კონცერტს გამართავენ. მომღერლებს აკომპანირებას ბრედლი მური გაუწევს.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# მარიამ არჩემაშვილი ფენდის ჩვენებაზე გამოვიდა

ქართველი მოდელი მარიამ არჩემაშვილი მილანში მსოფლიოში ცნობილი ბრენდის ფენდის ჩვენებაზე გამოვიდა.



მარიამი ჯეომოდელსის მოდელია და მის განსაკუთრებულ მონაცემებსა და სილამაზეზე უკვე ბევრს საუბრობენ.

მარიამი მილანში ჯეომოდელსისა და სააგენტო ბრეივის ერთობლივი თანამშრომლობის შედეგად აღმოჩნდა. სააგენტოს მოწონების შემთხვევაში, მოდელს საშუალება ეძლევა მონაწილეობა მიიღოს ადგილობრივ და უცხოურ ბაზარზე არსებულ მოდის კვირეულებზე. ბრეივის აღმოჩენილი სახეები უკვე წარმატებულად მუშაობენ მსოფლიო მოდის ბაზარზე. ისინი ყველაზე წარმატებული მოდელები არიან მსოფლიო მოდის ინდუსტრიაში, რომელთა კარიერის განვითარებაზეც სწორედ ეს სააგენტო ზრუნავს.

# სამგლოვიარო განცხადებები

## ნათელი დაუღამებელი



მხოლოდ ეს ეპითეტი თუ შეესაბამება ღვაწლს, შრომასა და ცხოვრებას იმ ადამიანისას, რომლის ხსოვნასაც გვინდა მივუძღვნათ ეს მოგონება.

ბევრი შეიძლება ვთქვათ იმ ამაგსა და ღვაწლზე, რომელიც გასწია დაბა ასპინძის საშუალო სკოლის დამსახურებულმა პედაგოგმა, ყველასათვის საყვარელმა ადამიანმა

**ლუბა მელიქიძემ**

გასული საუკუნის 40-იან წლებში სრულიად ახალგაზრდას დაწყებითი კლასი ჩააბარეს და ნახევარი საუკუნის მანძილზე ემსახურებოდა საშვილიშვილო საქმეს – ახალგაზრდების აღზრდას. მან აღზარდა თაობები, დიდი პატივისცემითა და სიყვარულით სარგებლობდა რაიონში. ხუთი შვილის დედა და დიდი ოჯახის ამაგდარი ქალბატონი ბრძანდებოდა, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია პედაგოგიურ და საზოგადოებრივ საქმიანობაში. თავდადებულმა შრომამ, გულისხმიერებამ, საქმისადმი სიყვარულმა დიდი აღიარება მოუტანა. რაიონში დიდი თუ პატარა, მოხუცი თუ ახალგაზრდა „ლუბა მასწავლებელს“ ეძახდა. მას გააზრებული ჰქონდა თავისი ურთულესი ამოცანა, უსაზღვროდ უყვარდა თავისი საქმე, ბავშვები, მათთან მუშაობა, ხალისობდა მათი წარმატებებით, ამავე დროს იყო სამართლიანი და მომთხოვნი. დასჯის მეთოდს არასდროს იყენებდა, მაგრამ მისი სადამრიგებლო კლასის მოსწავლეები მუდამ გამოირჩეოდნენ ქცევით, მოქმედებითა და ცოდნით.

ჩვენი უფროსი კოლეგა იყო, გულღია, პირდაპირი და გულთბილი. მისი რჩევა-დარიგებანი არაერთგზის წაგვდგომია საქმიანობაში. დღეს მისი აღზრდილები მოღვაწეობენ ქვეყნის მასშტაბით და თავად ხანდაზმულნი არ ივიწყებენ ამაგდარ პედაგოგს.

ნათელში ამყოფოს განგებამ ამ ღვაწლმოსილი პედაგოგის ნათელი სული და დაამკვიდროს იქ, სადაც მართალნი განისვენებენ.

***კოლეგები: ბაბულია მელიქიძე, თინათინ ზედგენიძე, სოფიო ინასარიძე, ლარისა თეთვაძე, ნანი კუკავა***

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## სპორტი

# ბუფონს პსჟ წელიწადში 8 მილიონ ევროს გადაუხდის



ჯანლუიჯი ბუფონი უახლოეს მომავალში „პარი სენ-ჟერმენის“ ფეხბურთელი გახდება. ამის შესახებ ინფორმაციას წამყვანი გამოცემა წერს.

მედიის ცნობით, ბუფონმა საფრანგეთის ჩემპიონ გუნდთან პირადი კონტრაქტის დეტალები შეათანხმა, რომლის მიხედვითაც, ის ორწლიან ხელშეკრულებას მოაწერს ხელს და ხელფასის სახით ყოველწლიურად 8 მილიონ ევროს მიიღებს.

40 წლის ბუფონმა „იუვენტუსი“ ახლახან დატოვა და ახალ გუნდს ეძებს. აღსანიშნავია, რომ ევროპის ყველაზე პრესტიჟული საკლუბო ტურნირი, ჩემპიონთა ლიგა არც პსჟ-ს და არც ბუფონს აქვს მოგებული და ტრანსფერის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, ფეხბურთელი და გუნდი მომავალ სეზონში ერთი მიზნის გარშემო გაერთიანდებიან.

# გერმანიის ნაკრების ვარჯიშზე რუდიგერმა და კიმიხმა იჩხუბეს



გერმანიის ნაკრების ერთ-ერთ ვარჯიშზე უსიამოვნო ინციდენტი მოხდა. ლონდონის ჩელსის მცველმა ანტონიო რუდიგერმა და ბაიერნის ფეხბურთელმა ჯოშუა კიმიხმა კინაღამ იჩხუბეს და საბოლოოდ მწვრთნელებს მოუხდათ მათი გაშველება.

ამის მიზეზი კი ის იყო, რომ რუდიგერი კიმიხს ერთ-ერთ ეპიზოდში უხეშად ეთამაშა, რამაც კიმიხი გააღიზიანა.

საბოლოოდ ყველაფერი მშვიდად დასრულდა, თუმცა არ არის გამორიცხული, რომ ამ ამბავს გაგრძელება მოჰყვეს.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

31 მაისისთვის

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.4717 |
| ევრო | 2.8536 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 3.2728 |
| 100 რუსული რუბლი | 3.9422 |

## ამინდის პროგნოზი 31 მაისისთვის




## სერია თანამედროვე რუსული ბესტსელერი

**18 მაისიდან** ვიქტორ სუვოროვი **აკვარიუმი**




ეს წიგნი რუსული გრუ-ს საიდუმლო საქმიანობის შესახებ მოგვითხრობს.

**ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი**

**25 მაისიდან**

დინა რუბინა

**პეტრუშკას სინდრომი**




„პეტრუშკას სინდრომი" დინა რუბინას ყველაზე დრამატული რომანია. მისი ყოველი ახალი რომანი ბესტსელერია და გამოცემისთანავე ათეულობით ენაზე ითარგმნება.

**ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი**

**1 ივნისიდან**

ვიქტორ პელევინი

**სამი ცუკერბრინის სიყვარული**




ფეისბუქი, გუგლი, უკრაინა, მომხმარებლის კულტი, ტოლერანტობა, ტერორიზმი, იმ ტრენდებს შორისაა, რასაც წიგნი ეხება.

**ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი**

**8 ივნისიდან**

ევგენი ვოდოლაზკინი **ლავროსი**




სნეულთა განკურნების განსაცვიფრებელი უნარით დაჯილდოებული არსენი სიკვდილისგან ვერ იხსნის საყვარელ ქალს. სწორედ ეს იქცევა მისი ცხოვრების გარდამტეხ მომენტად.

**ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი**

ბოაი

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

საუკეთესო ეფექტი მოკლე პერიოდში

-გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ღვიძლი, სასუნთქი სისტემა
-ნერვულისისტემა, ხერხემალი, სახსრები
-კანის დაავადებები
-უროლოგია
-გინეკოლოგია

მისამართი -ქ. თბილისი, დ.ყიფიანის ქ. 2
ტელეფონი - 2 47 91 12
10:00 – 19:00 სთ. შაბათ -კვირის ჩათვლით



## სერია ნამდვილი დეტექტივი

**22 მაისიდან** ნაიო მარში **კაცი იწვა მკვდარი**




დეტექტივი როდერიკ ალეინი ინგლისის ერთ-ერთ რესპექტაბელურ სახლში „მკვლელობანას" თამაშის დროს მომხდარ ნამდვილ მკვლელობას იძიებს. მსხვერპლი მონღოლური წარმოშობის რუსული სარიტუალო ხანჯლით არის მოკლული.

**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**

**29 მაისიდან**

ანდრეა კამილერი **წყლის ფორმა**




ზღვისპირა იტალიური ქალაქის უმდიდრესი ადამიანი და არაფორმალური მმართველი პიკანტურ ვითარებაში იღუპება. ყველა დაინტერესებულია ამ საქმით, რომის პაპით დაწყებული, პროვინციელი მოსამართლით დასრულებული.

**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**

**5 ივნისიდან**

გილბერტ ჩესტერტონი

**მამა ბრაუნის სკანდალური ამბავი**




მამა ბრაუნი ჩია, პროვინციელი კათოლიკე მღვდელია, არც რამე სისტემა გააჩნია ჩახლართული დანაშაულების გასახსნელად. ბოროტმოქმედების მხილება მისი ჰობია, რაც ძალიან კარგად გამოსდის.

**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**

**12 ივნისიდან**

როს მაკდონალდი **შიში**




ოთხმაგი მკვლელობა. ოთხი გარდაცვლილი. პირველ მსხვერპლს დანარჩენებისგან წლები აშორებს, მაგრამ მკვლელობა ერთი პიროვნების ხელით ხდება. მკვლელის ვინაობას, რამდენიც უნდა ეცადოთ, ვერ გამოთვლით, მხოლოდ ბოლო გვერდზე ამოიკითხავთ და გაოცდებით.

**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**

## ლევანდოვსკის ბაიერნიდან წასვლა სურს



რობერტ ლევანდოვსკის ბაიერნის დატოვება სურს და ამაზე უკვე მისი აგენტიც საუბრობს. აგენტის თქმით, ლევანდოვსკი ბაიერნს პატივს სცემს, უბრალოდ მას კარიერაში ახალი გამოწვევები სჭირდება და ეს არის მიზეზი, რის გამოც პოლონელ ფეხბურთელს ბაიერნიდან წასვლა სურს.

ლევანდოვსკის რამდენიმე კლუბი ეპატიჟება და ის, სავარაუდოდ, კარიერას ინგლისში გააგრძელებს, თუმცა ჯერჯერობით უცნობია, რომელ გუნდში.

ყველაზე მეტად მისი შეძენა მანჩესტერ სიტის და ჩელსის სურთ.

ლევანდოვსკი ბაიერნის ღირსებას 2014 წლიდან იცავს.

## ლივერპული სილესენითაც დაინტერესდა



ჩემპიონთა ლიგის ფინალის შემდეგ ლივერპული ახალი მეკარის ძიებაშია და გუნდის ხელმძღვანელობა რამდენიმე ვარიანტს განიხილავს.

აქამდე საუბარი იყო რომას გოლკიპერ ალისონზე და ატლეტიკოს მეკარე იან ობლაკზე, ახლა კი მათ რიცხვს ბარსელონას კარის დარაჯი, იასპერ სილესენი შეუერთდა.

სილესენი ბარსელონას მეორე მეკარეა და მას მეტი სათამაშო დრო სურს, რის გამოც არ არის გამორიცხული, რომ სილესენი სხვა გუნდის წინადადებას დათანხმდეს.

ბარსელონაში სილესენი 2016 წლის ზაფხულში გადავიდა.

## მარიო ბალოტელიმ რასიზმზე ისაუბრა



ფრანგული ნიცას იტალიელმა ფორვარდმა მარიო ბალოტელიმ რასიზმზე ისაუბრა და თქვა, რომ მას კანის ფერის გამო ხშირად ექმნებოდა პრობლემები. ბალოტელის აზრით, რასიზმი ყოველთვის იქნება:

– ბავშვობაში ხშირად ვიჩაგრებოდი კანის ფერის გამო და ყველა ეჭვის თვალით მიყურებდა. როდესაც გავიზარდე, მდგომარეობა შედარებით გამოსწორდა, მაგრამ ინტერში თამაშის დროს მაყურებელმა რამდენჯერმე დამიძახა მაიმუნი. ასევე მეუბნებოდნენ, რომ აფრიკაში უნდა დავბრუნებულიყავი. ბუნებრივია, ეს ჩემზე ცუდად მოქმედებდა.

## იუმორი...



მოსამართლე ქალს ეკითხება:

– რატომ გადაწყვიტეთ, რომ ქმარს გაშორდეთ?

– იმიტომ, რომ ისე მექცევა, როგორც ძაღლს.

– და ეგ რაში გამოიხატება?

– ჩემგან ერთგულებას მოითხოვს...

•••

ბიჭი გოგოს ეკითხება:

– გოგონი, ხომ არ იცით, რას მიირთმევენ ქალიშვილები სადილზე?

– არ ვიცი.

– ასეც ვიფიქრე!

•••

ბებიამ ტელეფონით ტაქსი გამოიძახა. დისპეტჩერი ეუბნება:

– შეგიძლიათ გახვიდეთ. ტაქსი უკვე ადგილზეა, ცისფერი მეტალიკია.

ბებია, გარეთ გავიდა, ტაქსს გარშემო შემოუარა და მძღოლს ეკითხება:

– მაპატიეთ, ეს თქვენ ხართ ცისფერი ვიტალი?

•••

ქმარი ცოლს ეკითხება:

– როგორ მოიქცევი, თუ დაინახავ, რომ სხვა ქალს ვკოცნი?

– მე, როგორც ერთგული მეუღლე, აუცილებლად მოგინახულებ ტრავმატოლოგიურში...

•••

ქმარი ცოლს ეუბნება:

– მოდი, დედაშენს იმდენი თანხა ვაჩუქოთ, რამდენი წლისაც გახდა.

– მართლა? 50 ათასი უნდა აჩუქო?

– რა, მართლა 50 ათასი წლის გახდა?

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## სალაჰს რამოსზე საუბარი არ უნდა



მოჰამედ სალაჰი ჟურნალისტებმა ერთ-ერთ სავაჭრო ცენტრში გამოიჭირეს და რამოსთან მომხდარ ეპიზოდზე კითხვა დაუსვეს, მაგრამ სალაჰმა მათ ყურადღება არ მიაქცია და თქვა, რომ ამ თემაზე საუბარი არ სურს.

სალაჰი გაბრაზებულია რეალზე და ფინალის შემდეგ მან განაცხადა, რომ რეალში არასოდეს ითამაშებს.

შეგახსენებთ, რომ მატჩის პირველ ტაიმში სალაჰმა სერხიო რამოსთან ორთაბრძოლის დროს ტრავმა მიიღო და მოედნის დროზე ადრე დატოვება მოუწია. ბევრი ფიქრობს, რომ რამოსმა სპეციალურად მიაყენა სალაჰს ტრავმა და, როგორც ჩანს, თვითონ ფეხბურთელიც ასე თვლის.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. სიმღერა აკომპანიმენტის გარეშე; 2. კომპანია „ზარას" მფლობელი; 3. საფრანგეთში მოღვაწე ქართველი კინორეჟისორი; 4. ხორბლის, მარცვლეულის რაოდენობის საზომი საერთაშორისო ერთეული; 5. მწვერვალი კავკასიონზე; 7. როკ-ანსამბლი „იუ-თუ"-ს ლიდერი, ბრიტანეთის საპატიო რაინდის ტიტულის კავალერი; 11. ძლიერ ფეთქებადი ნივთიერება; 13. იტალიური პელმენი; 15. საშობაო სიმღერა; 16. „ვეფხისტყაოსანის" დამსურათებელი ქართველი მხატვარი; 18. კამეჩის ან ძროხის ტყავისგან დამზადებული წყლის, ღვინის საზიდი დიდი ტიკი; 19. იაპონური აბანო.

**თარაზულად:** 6. ცხენოსანი მწყემსი აშშ-ში; 8. ლიტერატურული ნაწარმოების შესავალი ნაწილი; 9. ეკლესია თბილისში; 10. საპატიო თანხლება; 12. ყვითელი კურკოვანი ნაყოფის მქონე კენკროვანი მცენარე; 14. ქართული რადიო; 20. ერთი და იგივე სიმაღლის, ორი ან მეტი მუსიკალური ბგერის ერთდროული ჟღერადობა; 21. თავისუფალი მოქალაქე ძველ რომში, რომელსაც არავითარი პოლიტიკური უფლებები არ ჰქონდა; 22. ბრიტანული მსუბუქი ავტომობილი; 23. თერმომეტრის გამომგონებელი შვედი ასტროფიზიკოსი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

